გამოცდები 2016

გამოსაშვები გამოცდების ტესტები

NAEC.ge

მარტი 2016

BeNaec შეამოწმე შენი თავი Naec-თან ერთად

გვ. 5

როგორ დაამარცხა მაღრიდის „რეალი“ თბილისის „დინამომ“?

გვ. 32



პასუხი მთავარ კითხვაზე

www.ug.edu.ge

სარჩევი

რუბრიკა	გვერდი	სათაური
რედაქტორის სვეტი	4	
უმაღლესი განათლება	5	BeNaec – შეამოწმე შენი თავი Naec-თან ერთად
ჩვენი ისტორია	7	აფხაზთა მეფე გიორგი II
ინიციატივა	10	IV-IX კლასელთა ტესტირება - სკოლების მხარდაჭერის პროექტი
	12	საქართველოს უნივერსიტეტი
ზოგადი განათლების პრობლემები	14	ჯემალ ქარჩხაძის „იგი“
ფოტორეპორტაჟი	24	ბავშვები
საავტორო სვეტი	28	ნიკოლოზ ბარათაშვილი – საზოგადო მოღვაწე
ნომრის სტუმარი	32	როგორ დაამარცხა მადრიდის „რეალი“ თბილისის „დინამომ“? ლევან მოსეშვილი „დიდი გამარჯვების“ შესახებ
პუბლიცისტიკა	36	ალექსანდრე როინაშვილი
მეცნიერება	38	ეკონომიკური სტრუქტურები და ინსტიტუციები ანტიკურ სამყაროსა და საქართველოში
	46	ძილი და სიზმარი
ერთიანი ეროვნული გამოცდების სტატისტიკა	51	რომელი საგანმანათლებლო პროგრამები იყო ყველაზე მოთხოვნადი 2015 წელს (პირველი არჩევანის მიხედვით)
ლიტერატურული გვერდი	52	ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებული ნაწარმოებები
ტესტები	54	გამოსაშვები გამოცდების ტესტების ნიმუშები

რედაქტორის სვეტი

ჩვენს ერთგულ მკითხველს ვთავაზობთ ჟურნალ „Naec.ge“-ს მე-10, საიუბილეო ნომერს.

ამა თუ იმ პერიოდული ორგანოს სულ რაღაც ათი ნომრის გამოსვლა შესაძლოა არც იყოს სპეციალური აღნიშვნის ღირსი, თუმცა ჩვენთვის, იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ამ გამოცემაზე ვმუშაობთ, ეს მაინც მნიშვნელოვანი, სასიამოვნო და ალბათ ოდნავ გასაკვირი ფაქტი გახლავთ...

ამ ოთხიოდე წლის წინ, როდესაც „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის უფროსმა სამსახურის ხელმძღვანელმა – მაია გაბუნიამ მითხრა, რომ კარგი იქნებოდა, ცენტრს თავისი ჟურნალი ჰქონოდა და მე მისი რედაქტორობა მეკისრა, წინადადებას სიამოვნებით დავთანხმდი, რადგანაც წარმომედგინა, რომ ჩვენი ცენტრის მართლაც უკიდეგანო მოცულობის ძირითადი საქმიანობისა და ჟურნალის გამოცემისათვის აუცილებელი ფინანსების არარსებობის მიუხედავად, წელიწადში ერთი რიგიანი ნომრის გაკეთებას ჩვენი ძალებით მაინც შევძლებდით...

მართალი გითხრათ, ვინმეს მაშინ ჩემთვის რომ ეთქვა – წელიწადში ოთხი, დაახლოებით ოთხმოცგვერდიანი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-პოპულარული მიმართულების ფერადი ჟურნალი უნდა გამოსცეო, ამის მთქმელს მთლად სერიოზულ ადამიანად ვერ მივიჩნევდი, მაგრამ აგერ უკვე მეორე წელია ჩვენი ცენტრი სწორედ ამის გაკეთებას ახერხებს!

ამიტომ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვისი თანადგომის გარეშეც ჟურნალი ვერ იარსებებდა – მადლობა ჩვენს სპონსორებს, რომელთა მეოხებითაც ვბეჭდავთ ჟურნალს, უდიდესი მადლობა ცენტრის ყველა თანამშრომელს, რომლებიც, მოუცლელობის მიუხედავად, მაინც გვანებივრებენ თავიანთი მშვენიერი სტატიებით, განსაკუთრებით კი მინდა აღვნიშნო ჩვენი მუდმივი ავტორების, ბატონების თამაზ ჯოლოგუასა და მიხეილ ბახტაძის ღვაწლი, რომლებიც ჟურნალის ორ, ალბათ ყველაზე საინტერესო რუბრიკას უძღვებიან.

და ბოლოს, მინდა ქედი მოვიხარო იმ ოთხი ადამიანის თავდადების წინაშე, რომლებიც ჟურნალ „Naec.ge“-ს ე. წ. რედაქციას განასახიერებენ. ესენი არიან: ქალბატონები – თეიკო ანჯაფარიძე, ქეთი კვიტატიანი, ნაირა ცხვედიანი და ბატონი ლევან მაჭავარიანი. გაგიკვირდებათ, მაგრამ მხოლოდ ეს ოთხი ადამიანი ამზადებს ყოველ ნომერს დასაბეჭდად და შემდეგ მუდამ აფორიაქებული ელის თქვენს რეაქციას, ჩვენო ძვირფასო მკითხველო...

ჟურნალის NAEC.GE - N10, მარტი 2016

BeNaec – შეამოწმე შენი თავი Naec-თან ერთად

თეიკო ანჯაფარიძე

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ახალი პროექტი დაიწყო. BeNaec-ი ეს არის ის პროექტი, რომელიც აბიტურიენტებს შესაძლებლობას აძლევს გამოსცადონ საკუთარი ცოდნა და უნარი. რატომ გაჩნდა ამ პროექტის განხორციელების იდეა და რა დამატებით შესაძლებლობებს აძლევს ის აბიტურიენტებს?

აფხაზთა მეფე გიორგი II.

მიხეილ ბახტაძე

XI საუკუნეში მოღვაწე ქართველი მემატიანე მოგვითხრობს რა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის შესახებ, წერს: „იწყო განგებად და საურავად და განმართებად ყოველსა საქმესა მსგავსად პაპისა მისისა, დიდისა გიორგი მეფისა“. „დიდი გიორგი მეფე“ აფხაზთა სამეფოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მმართველი გიორგი II იყო.

როგორ დაამარცხა მადრიდის „რეალი“ თბილისის „დინამომ“?

ქეთი კვიტატიანი

დიახ, ეს ფაქტი მართლაც მოხდა 1962 წლის 29 ივნისს ჟენევაში. ოღონდ კალათბურთის „დინამომ“ დაამარცხა ფინალში მადრიდის „რეალი“ და არა ფეხბურთისამ, თორემ ფეხბურთელების ასეთი გამარჯვება ხომ ყველას ეცოდინებოდა და ყოველგვარი დავიწყების გარეშე, უწყვეტად გადაეცემოდა თაობიდან თაობას.

ნიკოლოზ ბარათაშვილი – საზოგადო მოღვაწე

თამაზ ჯოლოგუა

ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში საზოგადოებრივი მნიშვნელობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეებშიც მონაწილეობდა (თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა მიერ დაარსებული ხელნაწერი ჟურნალი, მანანა ორბელიანის ლიტერატურული სალონი...

BeNaec – შეამოწმე შენი თავი Naec-თან ერთად

ავტორი: თეიკო ანჯაფარიძე

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ახალი პროექტი დაიწყო. BeNaec-ი ეს არის ის პროექტი, რომელიც აბიტურიენტებს შესაძლებლობას აძლევს გამოსცადონ საკუთარი ცოდნა და უნარი. რატომ გაჩნდა ამ პროექტის განხორციელების იდეა და რა დამატებით შესაძლებლობებს აძლევს ის აბიტურიენტებს – ამის შესახებ ვესაუბრეთ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელს დავით ჭანკოტაძეს.

– რა არის ამ პროექტის მთავარი მიზანი?

– ეს მართლაც უნიკალური შეთავაზებაა იმათთვის, ვინც გამოცდებზე გასვლას აპირებს. ჩვენი სურვილია საშუალება მივცეთ აპლიკანტებს გამოცდებამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენონ, აღმოაჩინონ საკუთარი სუსტი ან ძლიერი მხარეები. გარდა ამისა, ეს არის საგამოცდო პროცესის ერთგვარი იმიტაცია თუ რეპეტეცია.

– როგორ შეუძლიათ მსურველებს ამ პროექტში ჩართვა?

– ამ შეთავაზებით სარგებლობა შეუძლია ყველას. ერთიანი ეროვნული გამოცდების რეგისტრაციის ძირითადი ეტაპის დასრულების შემდეგ დაიწყო BeNaec-ში ჩართვის მსურველთა რეგისტრაცია. პროცესი გულისხმობს გამოცდების არჩევასა და საქართველოს ფოსტის იმ ფილიალის მითითებას, რომელშიც აბიტურიენტს სურს მიიღოს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გამოყენებული პასუხების ფურცლების იდენტური ვარიანტი და დეტალური ინსტრუქცია.

– როგორ წარიმართება პროცესი?

– მონაწილე ფოსტის ფილიალში მიიღებს ცენტრიდან გაგზავნილ პასუხების ფურცლებს. პარალელურად გარკვეული პერიოდის განმავლობაში მის პირად გვერდზე არჩეული ტესტის/ტესტების ელექტრონული ვერსიები განთავსდება. მან ინსტრუქციის შესაბამისად და განსაზღვრულ ვადაში უნდა შეავსოს პასუხების ფურცლები. აბიტურიენტს შესაძლებლობა ექნება საკუთარ (ან სკოლის) კომპიუტერთან შეასრულოს დავალება, სურვილის შემთხვევაში კი საგამოცდო ფორმატი (მონიტორიდან წაკითხული ტესტის შესრულება, დროის ათვლა, განაწილება და ა. შ.) სრულად გაიმეოროს. წინასწარ გამოქვეყნებულ ვადებში მან შევსებული პასუხების ფურცელი ფოსტის იმავე ფილიალში უნდა მიიტანოს, რომელშიც მიიღო. ნაშრომები გაიგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, გასწორდება და შედეგები მონაწილის პირად

გვერდზე დაიდება. მინდა აღვნიშნო, რომ გასწორდება მხოლოდ ცენტრის მიერ მიწოდებული პასუხების ფურცლების ორიგინალები.

მოგვიანებით ტესტების ვერსიები ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდება, თუმცა შესაბამისი საფასურის (1 საგანი – 10 ლარი) გადახდისას ცენტრი მონაწილეებს სრულ სერვისს, კერძოდ, ტესტების პირად გვერდზე მიწოდებას, ნაშრომების გასწორებას, სურვილის შემთხვევაში კი გათანაბრებული და სკალირებული ქულების დათვლას სთავაზობს. მონაწილეს საშუალება ექნება მიღებული შედეგები წინა წლის საკონკურსო ქულებს შეადაროს.

– წინა წლის საკონკურსო ქულებთან შედარება რა დამატებით ინფორმაციას მისცემს აბიტურიენტს?

– პირველ რიგში ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ საკონკურსო ქულები 2016 წელს შესაძლებელია საკმაოდ განსხვავებული იყოს 2015 წლის ქულებისაგან, თუმცა ეს ინფორმაცია აბიტურიენტს არჩევანის ოპტიმალურად გაკეთებასა თუ წინასაგამოცდო პროცესის სწორად დაგეგმვაში დაეხმარება. პროცედურა კი ასეთია: მან სასურველი ფაკულტეტები უნდა აირჩიოს, შემდეგ კი ეკრანზე გამოჩნდება მისი საკონკურსო ქულა იმ საგანმანთლებლო მიმართულებისათვის, რომელიც მან აირჩია და, აგრეთვე, ჩარიცხულთა ის მინიმალური საკონკურსო ქულა, რომელიც შესაბამის ფაკულტეტზე 2015 წელს იყო.

– როგორი მოლოდინი გაქვთ, ჩაერთვებიან თუ არა აბიტურიენტები ამ პროექტში?

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ აბიტურიენტები აუცილებლად გამოიყენებენ ამ შესაძლებლობას. საწყის ეტაპზე აპრობაციაში მონაწილეობა ქუთაისისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების მე-12 კლასელებს შევთავაზეთ და ინტერესი მართლაც ძალიან დიდი იყო. ჩვენთვის მნიშვნელოვანია თითოეული აბიტურიენტის ასეთი მხარდაჭერა, მით უმეტეს, რომ მოთხოვნა ნამდვილად არსებობს.

დაინტერესებულ პირებს BeNaec-ის შესახებ დეტალური ინსტრუციისა და ინფორმაციის ნახვა შეუძლიათ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე – www.naec.gov.ge

აფხაზთა მეფე გიორგი II

ავტორი: მიხეილ ბახტაძე

XI საუკუნეში მოღვაწე ქართველი მემატიანე მოგვითხრობს რა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის შესახებ, წერს: „იწყო განგებად და საურავად და განმართებად ყოველსა საქმესა მსგავსად პაპისა მისისა, დიდისა გიორგი მეფისა“. „დიდი გიორგი მეფე“ აფხაზთა სამეფოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მმართველი გიორგი II იყო.



კავკასია X საუკუნეში (რუკა გადმობეჭდილია მანანა სანაძის მიერ შედგენილი ატლასიდან)

აფხაზთა მეფე გიორგი II ტახტზე 922 წელს ავიდა. ამ დროისათვის საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე პოლიტიკური ერთეული არსებობდა. საკუთრივ აფხაზთა სამეფოს გარდა ეს იყო: ქართველთა (ტაო-კლარჯეთის) სამეფო, კახეთის საქორეპისკოპოსო, ჰერეთის სამეფო და თბილისის საამირო. მათ შორის ბრძოლა მიმდინარეობდა პირველობისათვის და ნელ-ნელა აფხაზთა სამეფოს უპირატესობა იკვეთებოდა.

გიორგი II-მ გამეფებისთანავე ყურადღება მიაქცია შიდა ქართლს და აქ ერისთავად თავისი უფროსი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე კონსტანტინე დანიშნა. ამას კიდევ უფრო უნდა გაეძლიერებინა აფხაზთა სამეფოს გავლენა აღმოსავლეთ საქართველოში. თავიდან ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ შემდგომ მდგომარეობა აირია. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, უფლისწულმა ტახტიდან მამის ჩამოგდება განიზრახა. ამაში მხარდაჭერა კი ქართლის დიდაზნაურებმა, ტბელებმა აღუთქვეს. ტბელები ქართლის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი საგვარეულო იყო. მათთვის, ისევე, როგორც ქართლის აზნაურთა ერთი ნაწილისათვის, მიუღებელი იყო გიორგი მეფის მტკიცე მმართველობა და სწორედ ამიტომ შეაგულიანეს მეფის წინააღმდეგ კონსტანტინე.

აჯანყების დაწყებისთანავე გიორგი მეფე სასწრაფოდ გადმოვიდა ქართლში და უფლისციხეს ალყა შემოარტყა. კარგად გამაგრებული უფლისციხის აღება გაჭირდა. მაშინ მეფემ ხერხი იხმარა. კონსტანტინეს ერთ-ერთი ქართლელი აზნაური მიუგზავნეს. ამ უკანასკნელმა კონსტანტინეს უთხრა: შენი მომხრეები მზად ვართ და ღამით უჩუმრად უფლისციხადან გაგიყვანთ, შემდეგ დასავლეთ საქართველოში გადაგიყვანთ და სანამ მამაშენი აქ იდგება ალყად, შენ ქუთაისში გამეფდებიო. კონსტანტინე დასთანხმდა ამ მაცდურ

უჯარმის ციხე

წინადადებას და მიუხედავად თანამებრძოლთა წინააღმდეგობისა, უფლისციხე დატოვა. ტივით მტკვარი გადაცურა და ის იყო ნაპირს უნდა მისდგომოდა, რომ გიორგი მეფის ჩასაფრებულმა მეომრებმა ვეღარ მოითმინეს, სამალავიდან გამოვიდნენ და კონსტანტინეს შეპყრობა სცადეს. კონსტანტინემ სასწრაფოდ შეატრიალა ტივი და უფლისციხეში დაბრუნება განიზრახა, მაგრამ დინებამ გაიტაცა. გათენებისთანავე აფხაზთა მეფის ხელქვეითებმა მისი ძებნა დაიწყეს და კიდეც იპოვეს კლდის ერთ ნაპრალში დამალული. მეფემ აჯანყებულ უფლისწულს სასტიკი სასჯელი გამოუტანა – კონსტანტინეს თვალები დაუწვეს და დაასაჭურისეს. უფლისწულმა სასჯელს ვერ გაუძლო და გარდაიცვალა. შიდა ქართლის მმართველად მეფემ მეორე ვაჟი, ლეონი დანიშნა.

სამეფოში სიმშვიდის აღდგენის შემდეგ გიორგი მეფემ კახეთის ქორეპისკოპოსის წინააღმდეგ გაილაშქრა. მამას ლეონიც ეხმარებოდა. კვირიკე ქორეპისკოპოსმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო. აფხაზთა მეფეს კვირიკეს ძმა, შურტაც მიემხრო და უჯარმის ციხე გადასცა. მალე გიორგი მეფემ თითქმის მთელი კახეთის საქორეპისკოპოსო დაიკავა, გარდა სამი ციხისა: ნახჭევანის, ბოჭორმისა და ლოწობანისა. კვირიკე მიხვდა, რომ ბრძოლის გაგრძელებას ვეღარ შეძლებდა და ზავი ითხოვა. ქორეპისკოპოსი სიცოცხლის შენარჩუნების სანაცვლოდ პირობას დებდა, რომ აღდგომის შემდეგ ბოჭორმის ციხესაც გიორგი მეფეს გადასცემდა და თავად კახეთს დატოვებდა. გიორგი II დათანხმდა, თუმცა ლეონი წინააღმდეგი იყო და მამას ბრძოლის გაგრძელებას ურჩევდა.

ზავის დადების შემდეგ გიორგი II ქუთაისში დაბრუნდა, თუმცა მანამდე ნახჭევანის ციხე დაიკავა და კვირიკეს უმცროსი ძე, დავითი მძევლად დაიტოვა. ბოჭორმის ციხეში მყოფი კვირიკე წასასვლელად ემზადებოდა, როდესაც მასთან ქართლის აზნაურები გამოცხადდნენ. მათ

ქორეპისკოპოსი აფხაზთა მეფის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაზე დაითანხმეს. ქართლის აზნაურთა დახმარებით კვირიკემ მალევე დაიბრუნა სამფლობელო. შეიტყო რა კახეთში დაწყებული ბრძოლის შესახებ, გიორგი II-მ სასწრაფოდ ჯარი გაგზავნა კვირიკეს წინააღმდეგ და სარდლობა ლეონს დაავალა. სწორედ კახეთში იმყოფებოდა ლეონი, როდესაც 957 წელს მამის გარდაცვალების ამბავი შეიტყო. ლეონმა სასწრაფოდ დადო ზავი ქორეპისკოპოსთან, ქუთაისში დაბრუნდა და ტახტი დაიკავა.

ჭყონდიდის (მარტვილის) ტაძარი

გიორგი II ბევრს ზრუნავდა სამეფოს განვითარებასა და გაძლიერებაზე. მისი ინიციატივით სერიოზულად გადაკეთდა ჭყონდიდის (მარტვილის) ტაძარი და დაარსდა ჭყონდიდის საეპისკოპოსო. აფხაზთა მეფე დიდად უწყობდა ხელს ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელებას. კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი მადლობას უხდიდა მას ამ დამსახურებისათვის: „შენ ღვთის ცნების მიხედვით დიდი ამაგი დასდე და განანათლე ალანიის მმართველი და ყველა ის, ვინც მასთან ერთად ღირსი გახდა წმინდა ნათლისღებისა“.

გიორგი მეფემ მნიშვნელოვნად გააძლიერა აფხაზთა სამეფო და წარმატებით განაგრძო წინამორბედთა მიერ დაწყებული საქმე, რაც აფხაზთა სამეფოს ირგვლივ სხვა ქართული პოლიტიკური ერთეულების გაერთიანებას გულისხმობდა. გიორგი II-ს კონსტანტინესა და ლეონის გარდა კიდევ სამი ძე: დემეტრე, თეოდოსი, ბაგრატი და ერთი ასული, გურანდუხტი ჰყავდა. ისტორიამ ისე ინება, რომ მამის შემდეგ ტახტზე ერთიმეორის შემდეგ ასულ ლეონს, დემეტრესა და თეოდოსის მემკვიდრეები არ ჰყავდათ. აფხაზთა მეფეების ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის გიორგი II-ის შვილიშვილმა, გურანდუხტის ვაჟმა ბაგრატ გურგენის ძე ბაგრატიონმა დაასრულა. სწორედ ბაგრატ III გახდა ერთიანი საქართველოს პირველი მეფე.

„მატიანე ქართლისა“ ასე ახასიათებს გიორგი II-ს: „იყო იგი სრული ყოვლითა სიკეთითა, სიმხნითა და ახოვნებითა. ღმრთის-მოყუარე იყო, უმეტეს ყოველთა მაშენებელი ეკლესიათა, მოწყალე გლახაკთა, უხვი და მდაბალი და ყოვლითა კეთილთა და სათნოებითა სრულ. ამან განაგნა და განაწყუნა ყოველნი საქმენი მამულისა და სამეფოსა მისსა“.

IV-IX კლასელთა ტესტირება

- სკოლების მხარდაჭერის პროექტი

ავტორი: ქეთი კვიტატიანი

სკოლაში მიღებული ცოდნის შეფასება ცენტრალიზებულად, მთელი საქართველოს მასშტაბით მე-11 კლასიდან, გამოსაშვები გამოცდებით იწყება. თუმცა ზოგიერთმა დირექტორმა და მშობელმა გამოთქვა სურველი, რომ სასწავლო პროცესის ხელშეწყობის მიზნით მოსწავლის შეფასება საბაზო საფეხურზეც მომხდარიყო. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა“ გაითვალისწინა სკოლების ეს ინიციატივა და 2013 წლიდან „სკოლების მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში სიმბოლურ ფასად დაიწყო VI და IX კლასელთა ტესტირება. ყოველი გამოცდისთვის, თითოეულ მოსწავლეზე, სკოლა საკუთარი ბიუჯეტიდან 2 ლარს იხდის. ყოველწლიურად პროექტში 500-მდე სკოლაა ჩართული – 6000-მდე VI კლასელი და 9000-მდე IX კლასელი მოსწავლე. ტესტირება ნებაყოფლობითია, საგნების არჩევანი თავისუფალი. VI კლასში ბარდება 3 საგანი (ქართული, მათემატიკა, ინგლისური), IX კლასში კი – 9 საგანი (ქართული, უცხოური ენები, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია, ბიოლოგია, ისტორია, ხელოვნება).

„საგამოცდო პროგრამა და ტესტი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მე-9 კლასის გეოგრაფიის სტანდარტს. აღნიშნულ საფეხურზე მოსწავლეები შეისწავლიან საქართველოს გეოგრაფიის კურსს. ტესტური დავალებებით მოწმდება სასწავლო კურსით განსაზღვრული საკითხები და უნარები, რომელთა მიღწევაც სავალდებულოა ესგ-ის მიხედვით. გეოგრაფიის ჯგუფის მიერ შექმნილია ტესტის რამდენიმე ვარიანტი, რაც საშუალებას იძლევა ტესტირება ჩატარდეს 4 სესიად. თითოეულ სესიაზე მოსწავლეებს მისდით ტესტის ერთი ელექტრონული ვარიანტი, რომელშიც მოცემულია 50 დავალება. ტექნიკურად გამოცდა ჰგავს გამოსაშვები გამოცდების ტესტირებას. მოსწავლე ეკრანზე იღებს ერთ დავალებას, პასუხის დაფიქსირების შემდეგ მას მისდის შემდეგი დავალება და ა. შ. მაგრამ ამ ორ გამოცდას შორის პრინციპული განსხვავებაც არსებობს – გამოსაშვებ გამოცდებზე მოსწავლის პასუხების მიხედვით პროგრამა თავად არჩევს დავალებებს, რომლებიც მას უნდა მიუვიდეს, ხოლო მე-9 კლასის გამოცდაზე თითოეულ სესიაზე გამოყენებულია 50 დავალებისაგან შედგენილი ერთი ტესტი. ტესტში მოცემული დავალებები დაჯგუფებულია 3 ქვეთავად: დავალებები საბუნებისმეტყველო გეოგრაფიიდან, დავალებები საზოგადოებრივი გეოგრაფიიდან და დავალებები,

რომლებიც რუკის ანალიზს ეხება. წინა წლების ტესტირების ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ სკოლის მოსწავლეებს უფრო მეტად უძნელდებათ იმ დავალებების შესრულება, რომლებიც ანალიზის უნარის შემოწმებაზეა ორიენტირებული (მათ შორის არის დავალებები, რომელთა შესრულებაც დიაგრამებისა და გრაფიკების ანალიზს მოითხოვს)“ – ამბობს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ გეოგრაფიის ჯგუფის ხელმძღვანელი დავით გოგელიძე.

„სკოლას საკუთარი შედეგების ნახვის საშუალება გამოცდის დასრულებიდან 5 დღის შემდეგ აქვს. სტატისტიკა კონფიდენციალურია. სკოლის ადმინისტრაცია ამ ტესტირების შედეგად იღებს ინფორმაციას მოსწავლეების ცოდნის, შესაძლებლობებისა და შესაბამის საფეხურზე საგნის სწავლების ხარისხის შესახებ. აღსანიშნავია, რომ პირველივე წელს პროექტში 12 რეგიონის 62 მუნიციპალიტეტი ჩაერთო, ყველაზე მაღალი აქტივობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში დაფიქსირდა“ (პროექტის კოორდინატორი მარი ღოღაძე).

„მიგვაჩნია, რომ ეს სასწავლო პროცესის ერთგვარი მხარდაჭერაა. მოსწავლეთა ასეთი შეფასების საფუძველზე სკოლას მოგვეცა საშუალება მიგვეღო მიუკერძოებელი ინფორმაცია კონკრეტული მოსწავლის შესახებ, შეგვეფასებინა არა მხოლოდ მთლიანად საგნის, არამედ მისი ცალკეული შინაარსობრივი სფეროს სწავლებაც, რაც დაგვეხმარა ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებასა და საკუთარი საქმიანობის შეფასებაში, სწავლა-სწავლების შედეგების განხილვისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვაში“ (ქ. თბილისის 113-ე საჯარო სკოლის დირექტორი ლია გაბინაშვილი).

საქართველოს უნივერსიტეტი

პასუხი მთავარ კითხვაზე

უსდ კოდი: 121

საქართველოს უნივერსიტეტი უმაღლესი ხარისხის განათლებით, პრესტიჟული დიპლომით, პროფესიების მრავალფეროვანი არჩევანით, სტუდენტთა დასაქმების აქტიური ხელშეწყობით, საუკეთესო ინფრასტრუქტურით და დაუვიწყარი სტუდენტური ცხოვრებით გამოირჩევა.

საქართველოს უნივერსიტეტის ყველა სასწავლო პროგრამა არის აკრედიტებული.

საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამები:

- ბიზნესის, ეკონომიკისა და მართვის სკოლა;
- სოციალურ მეცნიერებათა სკოლა;
- ინფორმატიკის, ინჟინერიისა და მათემატიკის სკოლა;
- სამართლის სკოლა;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა;
- ჯანმრთელობის მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა.



სწავლება დაფუძნებულია პრაქტიკაზე

სასწავლო რესურსები:

- ენების ლაბორატორია
- არქეოლოგიური გამოფენა / მუზეუმი
- მედია ცენტრი და UG TV სტუდია
- საერთაშორისო პოლიტიკის ანალიტიკური ცენტრი
- UG PR Consulting
- ფიზიკის ლაბორატორია
- კომპიუტერული ლაბორატორია
- სიმულაციური ჰოსპიტალი
- სიმულაციური სასამართლო დარბაზი
- TOLES სამართლებრივი ინგლისური ენის ცენტრი
- უფასო იურიდიული დახმარების ცენტრი
- ბიბლიოთეკა

საერთაშორისო სერთიფიკატები

- Microsoft IT
- Apple
- Cisco Networking
- Oracle
- MikroTik
- Zend



ინოვაციები

- ბიზნეს აქსელერატორი Startup Nest
- რობოტიკისა და ელექტრონიკის ლაბორატორია UG Limes
- მობილური აპლიკაციების ცენტრი UG Lemondo Trainings

გაცვლითი პროგრამები

აშშ, ინგლისი, საბერძნეთი, პორტუგალია, ლატვია, ესპანეთი, პოლონეთი და ა. შ.

დასაქმება

- დასაქმების ხელშეწყობა
- კარიერული სერვისები
- დასაქმების ფორუმები

სპორტი

ფეხბურთი, რაგბი, კალათბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი / მაგიდის ჩოგბურთი, ფრიზბი, ბადმინტონი და ჭადრაკი.

სტუდენტური ცხოვრება

- სტუდენტური კლუბები
- სტუდენტური თვითმმართველობა
- საკონკურსო გრანტები
- დაუვიწყარი ღონისძიებები

კურსდამთავრებულთა 90% დასაქმებულია

ჯემალ ქარჩხაძის „იგი“

ავტორი: ინგა ბეკარიშვილი (კოტე სულაბერიძის ილუსტრაციები)



მოთხრობის თემა ბანალურია, იდეაც. პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხს არაერთი მწერალი შეეხო. თავად ვაჟამ ორი პოემა უძღვნა, რადგან, ჩემი აზრით, კიდევ ერთხელ წარმოეჩინა პრობლემის მასშტაბურობა, პიროვნებათა ხვედრის მსგავსება ნებისმიერი მენტალიტეტისა და აღმსარებლობის მქონე ბრბოდქცეულ საზოგადოებაში. პრობლემის ბანალურობაა ერთ-ერთი მიზეზიც, რომლის გამო მოვლენები თითქმის ერთნაირად ვითარდება და სქემატურ ხასიათს იძენს. ყოფითი გამოცდილებით მიღებული ეს სქემა კი ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც აისახება, კერძოდ: პერსონაჟის ცხოვრებაში რაღაც უჩვეულო ბიძგი, მოვლენა ხელს უწყობს სულიერ მეტამორფოზას, რომლის თანამდევია, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე, თავდაპირველ შეხედულებებთან, აღქმასთან სკეპტიკური დამოკიდებულებებით გამოწვეული სულიერი აფორიაქების პროცესი; იწყება თვითჩაღრმავების, ანალიზის ფაზა, რომელსაც მოჰყვება სულიერი თვალის ახელა, ჭეშმარიტების შეცნობა (რა თქმა უნდა, ყურადღება გავამახვილე მხოლოდ თვალშისაცემ შტრიხებზე)...

ამ კუთხით თუ შევხედავთ, არაფერია ორიგინალური ქარჩხაძესთანაც, რადგან მას არ უცდია ახალი ველოსიპედის შექმნა, რაც სულაც არაა ნაკლი. მთავარია, როგორ გვაწვდის მწერალი სათქმელს, რამდენად დამაჯერებელია მხატვრული რეალობა, პერსონაჟთა სულიერი მდგომარეობა, ქმნის თუ არა ავტორი მხატვრულ სახეთა ფსიქოლოგიურ პორტრეტებს, რომლებიც თვალსაჩინოვდება პერსონაჟთა მოქმედებითა თუ მეტყველებით. მივიჩნევ, რომ ქარჩხაძემ შეძლო, ეთქვა ახალი სიტყვა ბანალური თემის შესახებ და თუკი კარგი მწერალი დეტალების ხელოვანიცაა, არც ამითაა დასაწუნი.

თვალშისაცემია ისიც, რომ მოთხრობაში არსად სახელდება განცდების, გრძნობების, სულიერი მდგომარეობის ამსახველი ჩვენთვის ნაცნობი ლექსიკური ერთეულები. ტროპული მეტყველების საშუალებებითა და ყოფითი მაგალითების მოხმობით ცდილობს მწერალი ჩვენი ფანტაზიის აღგზნებას, პირველყოფილ, „ცხელ-ცხელ“ შეგრძნებებთან გვაბრუნებს და წარმოგვასახინებს იმ რეალობას, რომელსაც ქმნის. მკითხველი ასოციაციების მოშველიებით და რეალურ სამყაროში მისთვის ნაცნობ საგნებსა და მოვლენებთან შედარება-მსგავსების საფუძველზე თავად ირჯება, არქმევს განცდა-გრძნობებს სახელს, რომელსაც ქარჩხაძე მზამზარეულად არ გვთავაზობს. ბელადის სიტყვებს („იგი ავა მაღალ ქარაფზე და დიდი დაძინების ხახაში ჩაეშვება“)[1], ავტორის აღნიშვნით, „ცხელი ხიფათის სუნი ასდის“[2]. ეპითეტი „ცხელი“ შეგრძნებას აძლიერებს, წინადადება თითქოს ყნოსვასაც აღიზიანებს, ხოლო შექმნილი სიტუაციის სრულყოფილად აღქმის დამატებით შანსს კი წარმოქმნის განაჩენის ვულკანთან შედარება, თან ისე, რომ არ

1 ჯ. ქარჩხაძე, „იგი“, გვ. 285. ყველა დროის 20 საუკეთესო ქართული მოთხრობა, თბ., 2008.

2 იქვე.

სახელდება შესადარებელი ობიექტი (გვ. 285). ავტორი მკითხველის წარმოსახვის აღგზნებით ცდილობს ასევე იმ აზრის დაფიქსირებას, რომ ბელადის გადაწყვეტილება უსამართლო სიახლეა, ამიტომ არ არის მყისიერად მოსანელებელი: „იგი მიხვდა, რომ ქვეყნად რაღაც ახალი გაჩნდა. ოღონდ ისე კი არა, ცის ძახილი ცეცხლად რომ გაიკლაკნება და მყისვე გაქრება. არა, მიწა რომ გაიბზარება და ნაპრალი აღარასოდეს ამოივსება, ისე“[3]. ეპიზოდის აღქმას უდავოდ აადვილებს ის, რომ დასახელებულია არა მარტო მოვლენა, რომელსაც ამსგავსებს განაჩენს, არამედ ისიც, რასაც არ ჰგავს იგი. დასაზღვრულია, მიჯნებშია მოქცეული შესადარებელი ობიექტი, რის გამოც ჩნდება ზუსტი სახე. ავტორს, თითქოს, ნაკლებად აინტერესებს, მოუძებნის თუ არა ზედმიწევნით შესაფერის სახელს შექმნილ მდგომარეობას მკითხველი. ქარჩხაძისათვის მნიშვნელოვანია, ხელი შეუწყოს ყურადღების მობილიზებას, ცინცხალი წარმოდგენის გაჩენას, შეგრძნებათა სისტემის ამოძრავებას.

საინტერესოა ისიც, რომ მოთხრობაში არსად სახელდება სიტყვა „სიკვდილი“ – აქ ეს „დიდი დაძინებაა“ და მეტად მარტივი ეპითეტი, სხვა სიტყვასთან მიმართებით სათუოც რომ გახდებოდა, გვეწოდებინა ტროპული მეტყველების საშუალება, დანიშნულებას, ფუნქციას იძენს: „დიდი დაძინება“ საზოგადოების მიერ სიკვდილის არსის, რაობის პრიმიტიული აღქმის გამოხატულებაა.

ნაწარმოებში თითქოს უარყოფილია უკვე შექმნილი ტერმინები, უბრალოდ, მარტივად ცხადდება აზრი: მოვლენა თუ შემთხვევა, რომელიც გაუგებარია ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, ქარჩხაძესთან „უცხო სიტყვებია“, ხოლო მათი გაგების მცდელობა – „ასხმა-დალაგება“[4], ანუ ავტორი ახერხებს, რომ ნაცნობ, ყურშეჩვეულ ლექსიკურ ერთეულებსაც კი, რომლებიც სულ სხვა მოვლენისა თუ შემთხვევის შესატყვისად ეგულებოდა მკითხველს („უცხო სიტყვები“, „ასხმა-დალაგება“...) ახალი სიცოცხლე მიანიჭოს, განსხვავებული დატვირთვა შესძინოს. ავტორისეული მიგნებაა ცის ძახილი, დღისა და ღამის თვალი, ბრჭყვიალა კენჭები, რომლებიც იოლად ასოცირდება ელვასთან, მზესთან, მთვარესა თუ ვარსკვლავებთან და ზუსტად ეს „სიმარტივეა“ ქარჩხაძისეული გამარჯვება. რა თქმა უნდა, მაგალითების გამრავლება უპრობლემოდ შეიძლება, რადგან ესაა სტილი, მახასიათებელი ნაწარმოებისა.

იგი (გზა პირისა პიროვნებამდე)

ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე იგი, სხვათა მსგავსად, ბრბოს უსახური ნაწილია. მოკლებულია სულიერ ხედვას, არ იცის, თუ რა არის სიკვდილის არსი.

შაბლონურ-სტერეოტიპული დამოკიდებულება თუ აღქმის სისტემა ბრბოს მახასიათებელია, რომელსაც არ უჩნდება კითხვები, ქარჩხაძის თქმით: „ჰგონია, რომ რაც არის, ის მუდამ იყო“[5]. ასეთივე გახლდათ იგი. არადა, ზუსტად გაკვირვებით (რატომ? როგორ?) იწყება ცოდნის დაუნჯება, ერთ-ერთი ბერძენი მოაზროვნის აზრით. ეს აპრიორი ნაწარმოებშიც აისახა: გაკვირვება აქაც ცოდნის წინაპირობაა. მთავარი პერსონაჟი ხვდება, იაზრებს, ახსნას უძებნის და აგნებს ბევრ რამეს მაშინ, „როცა მრავალი გაკვირვება... ცოდნად ექცა“[6]. ფიქრისა და განსჯის პროცესს ფსიქოლოგიური დატვირთვა რომ უდავოდ ახლავს, არც ეს დეტალია უგულებელყოფილი ნაწარმოებში. იგის „გაურკვეველი სიმძიმე სხეულში ტკივილად ეღვრებოდა ამ დროს“[7], მით უმეტეს მაშინ, როცა „უცნობ სიტყვებს“ იოლად „ვერ ალაგებს“.

უდავოა, რომ ყოფითი გამოცდილება, წიგნიერებასთან ერთად, მკითხველს ეხმარება მხატვრული რეალობის აღსაქმელად, ამიტომაც არის, რომ არ გვიკვირს, როდესაც უკვე პიროვნებად ჩამოყალიბებული იგი ვერ იხსენებს, რა ადგილზე იდგა ძველი ბელადის დამარცხებისას, რადგან ადამიანს ზოგადად უჭირს იმის

3 იქვე.

4 ჯ. ქარჩხაძე, „იგი“, გვ. 287.

5 იქვე.

6 იქვე.

7 იქვე.

გახსენება, რაც ნიშანდობლივი არ იყო მისთვის შექმნილ სიტუაციაში, სულიერი მდგომარეობის გარკვეულ ფაზაში. იგი ვერ იხსენებს მომხდარს იმიტომ, რომ არ აინტერესებდა მაშინ, „ხორცის მეტს ვერაფერს ხედავდა“[8], ეს იყო მნიშვნელოვანი და ფასეული (ზოგადად, გამოცდილებას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს საგანთა თუ მოვლენათა აღქმა-გააზრების თვალსაზრისით, ეს მოთხრობაშიც ჩანს არაერთგზის). თუმცა, როცა დამარცხებულმა ბელადმა შეძლო სიმშვიდის შენარჩუნება, იგის ახსოვს თავისი რეაქცია, ახსოვს, რომ გაუკვირდა. „გაკვირვების აწრიალება“[9]კი ეწყება მაშინ, როცა ძველი ბელადი არღვევს დადგენილ წესს და უკან არ მოიხედავს. ეს უჩვეულო იყო იგისთვის, რადგან აქამდე განუხრელად სრულდებოდა რიტუალი: ყველა იხედებოდა „დიდი დაძინების“ წინ და „ამ დროს... ცოცხლად შეპყრობილი ნადირის ფერი“[10] ჰქონდა. აქაც, როგორც სხვა ეპიზოდებში, გრძნობისა და სულიერი მდგომარეობის ასახვის გზა წარმატებულია. განცდის წარმოსაჩენად შექმნილია ცოცხალი სახე („ცოცხლად შეპყრობილი ნადირის ფერი“), დაუვიწყარი და უფრო ტევადი, ვიდრე უკვე პეწდაკარგული სიტყვა „შიში“.

ძველი ბელადის მიერ არსებული წესის დარღვევა ბიძგის მომცემი მოვლენაა იგისთვის. ამ დროს უჩნდება პირველი კითხვები („გაკვირვება“), რომლებიც შემდეგში სიკვდილის არსს თუ წუთისოფელში ყოფნის მისიას შეაცნობინებს. ეს კითხვები იქცა საფუძვლად განსხვავებული ხედვისა, რომლის საწყის ეტაპზე უჩნდება მარტოსულობისა და გაუცხოების განცდა. იგის წარმოსახვით საზოგადოება „გორგალივით შეკრულია“[11], ანუ პერსონაჟმა შეიძინა შეფასების უნარიც სოციუმისა, რომლის წევრიცაა. ვფიქრობ, ძნელია მოვლენათა შუაგულიდან იმ წრის ადეკვატურად აღქმა, რომელშიც ტრიალებ, ამიტომ ეს დეტალიც გარდასახვაზე უნდა მიუთითებდეს.

თავისთავად ლოგიკურია, რომ იგიმ გაუცხოება შეიგრძნო, რომლის არსის წვდომისათვის ავტორი შედარებას გვთავაზობს: „იგი ისე მიაჩერდა გორგალს, თითქოს რაღაც უცხო ჯიშის ნადირს წაწყდომოდეს“[12]. არც სულიერი მარტოობისთვის დამახასიათებელი შტრიხის წარმოჩენა გამოჰპარვია ჯ. ქარჩხაძეს: „როცა მარტო იყო, მაშინ არ გრძნობდა მარტოობას; სხვებთან როცა იყო, მაშინ გრძნობდა“[13]. ყოველივე ეს აფრთხობს იგის, ეწყება ჭიდილი საკუთარ თავთან, სანამ არ აღმოაჩენს, თუ რას უნდა მოეჭიდოს, რა არის ფასეული. პერსონაჟს არ სურს თვისტომელთაგან გაუცხოება შეიგრძნოს, ცდილობს მათ დაემსგავსოს. თუმცა პირველადი სახის დაბრუნება აუტანელ ფიზიკურ ტკივილს ჰგვრის, ეს მაინც ურჩევნია წუხილს, რადგან ხვდება, ქვეცნობიერად მაინც, რომ „ეს“ უფრო მარტივია, ვიდრე „გამართულობა“. იგის პრიმიტიული აღქმის დადასტურებაა ის, რომ გამოსავალი გარეგნული პირველსახის დაბრუნება ჰგონია,

8 გვ. 288.

9 გვ. 290.

10 გვ. 286.

11 გვ. 291.

12 გვ. 288.

13 გვ. 291.

თუმცა, თუ თავდაპირველად ვერ გრძნობს, სულში მიმდინარე პროცესები რომაა „დამნაშავე“, შემდეგში, უკვე სახეცვლილი, სულიერების სხვა სიმაღლეზე ასული, ბელადის ჩიხში მოსაქცევ ფანდად იყენებს „მოხრილობას“ – ვითომ თქვენნაირი ვარო და შესანიშნავად იცის, რომ ეს ნამდვილად არაა დადასტურება სხვებთან მსგავსებისა.

მკითხველის ყოფით გამოცდილებას კვლავ ეხმიანება ავტორი, როცა იგის სულიერ მდგომარეობას, აფორიაქებას გადმოგვცემს: „თუ იჯდა, ფეხზე დგომა უნდოდა, თუ მიდიოდა, გაჩერება უნდოდა... სადაც იყო, იქ ყოფნა არ უნდოდა, იქ უნდოდა, სადაც არ იყო“[14] (ნერვიულ, დაძაბულ რიტმს თავად სიტყვების წყობაც ქმნის წინადადებაში). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოთხრობაში გამიჯნულია ფიზიკური და სულიერი ტკივილიც. არა მარტო მათთვის დამახასიათებელი თვისებებით, არამედ ლექსიკური ერთეულის შერჩევით ცდილობს ამას ავტორი – სულიერ ტკივილს წუხილს უწოდებს ხაზგასმით და ეს „წუხილი“ თან სდევს იგის მანამ, სანამ არ შეიცნობს სამყაროს ერთიანობის, ჰარმონიისა და კანონზომიერების პრინციპს, ძველი ბერძნები „სიმპათიის კანონს“ რომ უწოდებდნენ. ზუსტად ეს დააძლევინებს პერსონაჟს მარტოობის განცდას. საინტერესოდაა გადმოცემული მისი ადეკვატური რეაქციაც ამ დროს („უნებურად კბილები გამოუჩნდა... ახლა იგის კბილებსაც და მთელ სახესაც სითბოსა და სიხარულის სუნი ასდიოდა... მერე საკვირველი სითბო, რომელსაც ზღვა გამოსცემდა, ცა, ცის თვალით განათებული ქედები, ტყე და ყველაფერი... ყოველი მხრიდან შემოვიდა იგის სხეულში“)[15].

ავტორი ახერხებს, მკითხველმა ზუსტად აღიქვას პერსონაჟის მიერ რაღაც უჩვეულოს, უცხოს, უფრო სწორად, საუცხოოს შეგრძნება. ეს ახალი ინფორმაციაა იგისათვის, რომელიც „უცხო სიტყვების წყობისად დალაგებას“[16] თითქოს შეეჩვია, მაგრამ მოსალოდნელიცაა, როგორც წესი, სიახლესთან ზიარებამ ააფორიაქოს. ამიტომაცაა, რომ მისი „თავი ისე იყო, პატარა გამოქვაბულში, რომ დიდი ტომი დაბანაკდეს, ყველა ვერ დაეტიოს და არც არავინ გავიდეს“[17]. საოცარია, რომ ასახვის თვალსაზრისით, ქარჩხაძე აღწევს იქაც, სადაც, თითქოს, მოვლენათა უმრავლესობა უსახელოა, აღწევს იქ, ისეთ სივრცეში, სადაც დაბრკოლებულია სიტყვის შეღწევა (რილკეს პერიფრაზი). მიმაჩნია, რომ ჩვენ მიერ ცნობილი განცდა-გრძნობების ავტორისეული ასახვა სრულფასოვანი განმარტებითი ლექსიკონის ასოციაციას ბადებს.

ნაწარმოებში არც სულიერი მეტამორფოზისათვის დამახასიათებელი საფეხურეობრივი განვითარებაა მივიწყებული. თავს გვახსენებს ის, რომ, ხშირ შემთხვევაში, ჭეშმარიტების შეგრძნებისას (თუნდაც ეს დამოკიდებული იყოს ადამიანის ხედვის კუთხეზე და ჭეშმარიტება შეფარდებით ცნებად მოვიაზროთ) შეცნობილის ღალატი უადგილოდ ეჩვენებათ, ყოველ შემთხვევაში პიროვნებას, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია პრინციპების ერთგულება. ასეთ დროს იცავენ საკუთარ თვალსაზრისს, თუ ეს

14 გვ. 292.

15 გვ. 298.

16 გვ. 299.

17 იქვე.

ჭეშმარიტებასთან წილნაყარი ჰგონიათ (თუნდაც ილუზიურად), უჩნდებათ პროტესტის გრძნობა იმისადმი, რაც უსამართლობაა (თუნდაც მათი ხედვით). ამიტომაცაა, ვფიქრობ, რომ ბელადის განაცხადის მოსმენის შემდეგ, „იგი არ წავა სანადიროდ“, დასჯილის „სხეულში გაკვირვება შეკრთა“[18], რომელიც პროტესტის გრძნობის გამოხატვის სამზადისია. ანუ ამ ეპიზოდში გაკვირვებას სხვა სახე აქვს, ქარჩხაძე გამიჯნავს ცოდნის წინაპირობად აღქმული გაკვირვებისგან მას, გვამცნობს, რომ „უცხო სუნი ასდის“. მართლაც, იგი არა მარტო განცვიფრდა, არამედ გააპროტესტა, ხმამაღლა გამოხატა ის, რაც საფუძველს გამოაცლიდა ბელადის ბრძანებას. „იგი ქალი არ არის. იგი ბავშვი არ არის. რატომ არ წავა იგი სანადიროდ“[19], – ამბობს პერსონაჟი და ეს არის რეალური არგუმენტი, რომელსაც შეძლო ბელადისათვის, თუნდაც წამიერად, უმწეობის, დაბნეულობის განცდა შეეგრძნობინებინა: ბელადს „...ისეთი სახე ჰქონდა, კაცი რომ დიდ ქვას დაეჭიდოს და ვერ ასწიოს“[20]. მოცემული წინადადებით მკითხველი ამომწურავ ინფორმაციას იღებს ბელადის მდგომარეობის შესახებ, რადგან წაკითხულს ზუსტად უსადაგებს ემპირიულ, ყოფით გამოცდილებას. შესაძლებელია, გაგვიჭირდეს ზუსტად მოვარგოთ სახელი, ერთ სიტყვაში ჩავტიოთ, თუ რა ხდება ლიდერის სულში, მაგრამ ეს არაა მთავარი. მნიშვნელოვანია ზუსტი შთაბეჭდილება, შეგრძნება და აღქმა, ხედვის მართებული კუთხის შექმნა, ამ ყოველივეზე კი ავტორს უდავოდ უზრუნია.

იგი და ნი

ნი იქამდეა ნახსენები იგის მიერ, სანამ მას მოქმედებით წარმოაჩენს ქარჩხაძე. მაშინ, როდესაც სძინავს ყველას და „წუხილი“ არ ასვენებს იგის, ფიქრი ნის გადასწვდება. ნის ხსენებისას წუხილი უცებ იმალება ხოლმე, თუმცა დროებით. ნი იგის „სხეულში ჩნდება“ მაშინაც, როცა შეიგრძნობს სამყაროს და, საერთოდ, როცა ძალიან თბილი, კარგი გემო დაუვლიდა სხეულში, ნის სუნი მოუვიდოდა. ბელადის მიერ დასჯილ იგის (სანადიროდ რომ არ წაიყვანს, მაშინ) ნის ნახვა მოესურვება. შორიდან ეტრფიალება მას კაცი. უნაზესი, „საამო სუნის“ მქონეა ეს გრძნობა. იმავდროულად, იგრძნობა ლტოლვაც, ვნებაც, „გამაბრუებელი ქალური სუნის“ შეგრძნება, თუმცა თვისტომელთა მოქმედებას თავდაპირველად არ იმეორებს მამაკაცი, რადგან „...მძაფრ ქალურ სუნში ნის საკუთარი საამო სუნი შემოიპარა“[21]. საგულისხმო უნდა იყოს სიტყვა „საკუთარი“, უფრო სწორად, „ნის საკუთარი საამო სუნი“, რადგან ამ გზით წარმოჩენილია იგისეული აღქმა სატრფიალო ობიექტისა, მისეული ოცნება ამ ქალზე. იგის უყვარს მასში (ნიში) ოცნება თვისი („მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი“), ამიტომაც იმტკივნეულა ნის რეაქცია სიყვარულის ახსნის დროს. ნაოცნებარი ქალი არ დაემთხვა რეალურს, ნი ყოფითია, ჩვეულებრივი, არაა „ცისფერი ქალი“ და, რა თქმა უნდა, გაოგნებულია, რადგან ასეთი უნაზესი დამოკიდებულება, სიყვარულის გამომჟღავნება უცხოა მისთვის.

იგის მიერ შექმნილი რომანტიკული გარემო ირღვევა ნის მკვეთრად დასმული კითხვით: „იგის სხვა რამე უნდა?“[22] მამაკაცის სულიერი მდგომარეობის ფერისცვალება, ამაღლებული განცდის დამუხრუჭება, ზევიდან ქვევით, მიწაზე დაშვება, რაც მოთხრობაში ორიოდე ტევადი წინადადებითაა გადმოცემული, სრულდება იგის მიერ თვისტომელთა საქციელის გამეორებით, შედეგით, რომელმაც ყველა „კარგი სიტყვა“ გააქრო თავში[23]. თუმცა მაინც ნი „ჩნდებოდა მის სხეულში“, არ ქრება მასზე ფიქრი, რადგან ილუზიების მსხვრევა, რასაც მოთხრობაში, ვფიქრობთ, ორი სიტყვა – „დამახინჯებული ნი“ – იტევს, არაა ადვილი მოსანელებელი. ამაღლებულის, ოცნების გაფერმკრთალების, შეცვლა-დამახინჯების პროცესი მორგებული შედარების წყალობით ჯდება მკითხველის ცნობიერებაში; „ნი ისე იყო დამახინჯებული, კაცი რომ გუბეში თავის თავს

18 გვ. 302.

19 იქვე.

20 გვ. 303.

21 გვ. 305.

22 იქვე.

23 იქვე.



უყურებდეს და ამ დროს შიგ ქვა ჩავარდეს“[24]. ლოგიკურია, რომ იგის სურს, მოიშოროს ილუზიების მსხვრევით გამოწვეული გაუსაძლისი დარდი და მწუხარება. ეჭიდება საკუთარ თავს, ცდილობს გააძევოს „დამახინჯებული ნი“. ფსიქოლოგიური შტრიხებითაა წარმოჩენილი პერსონაჟის სულიერი მდგომარეობა და ადეკვატური რეაქციაც, კერძოდ: იგი მიდის, მიდის და ირგვლივ ვერაფერს ამჩნევს, რადგან „საკუთარ სხეულში იყურება“. მხოლოდ სუნით ხვდება, რომ ზღვის პირას გავიდა. დაიჩოქებს და უაზროდ უსვამს თითს სილაში. ვფიქრობ, ესეც ფსიქოლოგიური შტრიხია, კარგი დეტალია პერსონაჟის სულიერი მდგომარეობის ამოსაცნობად; დაძაბულობის დროს უაზროდ ჯღაბნა, თუნდაც რაღაც ფიგურების ხატვა, არაა უცხო ადამიანისათვის, არც მოთხრობის გმირისთვის, რომელიც საბოლოოდ ნეგატიურმა განცდებმა აქცია შემოქმედად. რაღაც ან ვიღაც ამფორიაქებლის (ნეგატიურ-პოზიტიურის) დაუტევლობა, გადმოცემა-გადმოღვრის სურვილი აწერინებს, ახატვინებს, შეაქმნევინებს...

როცა იგის მოესურვება გაიმეოროს ნამოქმედარი, გააკეთოს ის, რაც „უნებლიედ“ შეძლო, უკვე აკონტროლებს პროცესს: ნისაც „უყურებს“ (ანუ ილუზიების მსხვრევით გამოწვეულ განცდას აცოცხლებს, აცხოველებს, რომელმაც უნდა მისცეს შემოქმედებითი იმპულსი) და თითსაც „მართავს“. მწერალს არ დავიწყებია გადმოცემა არც იმ სულიერი მდგომარეობისა, რომელიც დამახასიათებელია ნებისმიერი შემოქმედისთვის თავისი ემოციის, მსოფლხედვის ასახვის შემდეგ: „სხეული ცარიელი ჰქონდა, თავში სიტყვები არ მოძრაობდნენ“[25]. რაც მთავარია, პერსონაჟისთვის უკვე ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ „არ არსებობდა ცალკე ზღვა, ცალკე ცა... არსებობდა მხოლოდ ერთი რამ და ეს ერთი რამ იგი იყო და ეს ერთი რამ ცა იყო... ერთი რაღაც გაცხადებულიყო ყველაფერში და ყველაფერი სათითაოდ ეს ერთი რაღაც იყო...“[26]. იგი გრძნობს სიხარულს, კმაყოფილებას იმის გამოც, რომ განსხვავებული, უჩვეულო უნარი აქვს (ისე, როგორც ყველა გენიოსმა იცის, ჩემი აზრით, რომ გენიოსია, რაც არ უნდა „ჭვარტლიანი ჩანგური“ უწოდოს თავის ნამოქმედარსა და შემოქმედებას)[27].

საინტერესო დეტალებითაა გადმოცემული, თუ როგორ იწყებს ბელადის ხატვას იგი. დამწყები შემოქმედი თითქოს გრძნობს, რომ ისაა კარგი პორტრეტი, რომელიც წარმოაჩენს ხასიათს, ზნეს... პროფესიონალი პორტრეტისტის მსგავსად აცოცხლებს მეხსიერებაში ჩარჩენილ ორ მოქმედებას ბელადისას, ზუსტად იმას, რაც ყველაზე მეტად ცხადყოფს ხელისუფლის ხასიათს: ბელადი, რომელიც უსამართლოდ გადაწყვეტს, იგი არ წავიდეს სანადიროდ და იგივე ბელადი, რომელმაც ძალადობით იგდო ხელთ ძალაუფლება.

ლოგიკური თანმიმდევრობითაა ნაჩვენები იგის ასვლა ახალ საფეხურზე სულიერი განვითარების თვალსაზრისით: იწყება ფიქრი იმაზე, თუ „როგორ უნდა გააკეთოს ისეთი კვალი, რომ არ წაიშალოს“[28].

ისევ ნის დავუბრუნდეთ. სამწუხაროდ, ის შეაჩეჩებს ბელადს მზამზარეულ არგუმენტს იგის გასამტყუნებლად (თან ორჯერ!) და საბოლოოდ სიკვდილით დასჯის ხელშემწყობიცაა ნებსით თუ უნებლიეთ. მაშინ, როცა იგი შეძლებს ბელადის ჩიხში მოქცევას, ნი განაცხადებს: „იგი სხვა ჯიშისაა“[29], ანუ მან ხმამაღლა თქვა ის, რასაც

24 გვ. 306.

25 გვ. 309.

26 იქვე.

27 იქვე.

28 გვ. 312.

29 გვ. 316.

სხვებიც ამჩნევდნენ (გარეგნულ ცვლილებას), მაგრამ მთავარია, რომ ნიმ გამოკვეთა შინაგანი მეტამორფოზაც („იგის ისეთი სიტყვები აქვს, როგორც სხვებს არა აქვთ“)[30] და საბოლოოდ, იგის სიკვდილამდე შეიგრძნო ისიც, რომ ასეთი ცვლილება კარგია. შენიშნო განსხვავება ერთია, მაგრამ მისცე მას ადეკვატური შეფასება, პოზიტიურს უწოდო თავისი სახელი, ეს – მეორე. ამიტომ ზუსთან ერთად ნიც უნდა იყოს კვალდამჩნეული და იგის სულიერი მემკვიდრე.

იგი და ზუ

როდის გამოჩნდება ზუ და როგორ? მაშინ, როცა იგი აღიზიანებს ბელადს, თანამოძმეები ზედ არ უყურებენ, დროდადრო ზუ აპარებს თვალს მისკენ. აუხსნელია ამ გამოხედვის მიზეზ-მიზანი იგისთვის, თუმცა გრძნობს კეთილგანწყობას, ქარჩხაძის ენით რომ ვთქვათ, „ზუს მზერა არ სტკენდა ბეჭებს“[31] (იგისადმი ზუს კეთილგანწყობის შესაგრძნობად ავტორი მკითხველს ყოფით გამოცდილებას შეახსენებს თითქოს (როცა სხვისი მზერა არ გტკენს ბეჭებს) და უადვილებს ხსენებული ეპიზოდის აღქმას, გათავისებას). როცა იგიმ ქვის ნი შექმნა, ზუ ერთადერთია, რომელსაც არ უგრძვნია შიში და სხვათა მსგავსად არ შევარდნილა გამოქვაბულში. ზუა ის, ვინც აღადგენს გატეხილ ქვის ბელადს, იგის შემოქმედებას. რა უნდა ზუს, ვინ არის? – ამას მხოლოდ სიკვდილის წინ ხვდება იგი. ზუს გამართულს, მხრებში გაშლილს ტოვებს, რჩება სულიერი მემკვიდრე, თვალსაჩინო მაგალითი იმისა, რომ „ცუდად არ ჩაივლის განწირულის სულისკვეთება“[32].

იგი და ბელადი

საზოგადოება, უფრო სწორად ბრბო, „მოხრილია“. ნაწარმოებში „მოხრილობა-გამართულობას“ სიმბოლური დატვირთვა აქვს, რა თქმა უნდა, მაგრამ ნიშანდობლივია სხვა დეტალი: ავტორისეული აღნიშვნით, ბელადი ყველაზე მეტად იყო მოხრილი (თან ამას რამდენჯერმე აღნიშნავს). ქარჩხაძე, ვფიქრობ, ერთი ბანალური ჭეშმარიტების შეხსენებას ცდილობს: სულიერად თვალდახშული ბრბოს ლიდერი ვერ გახდები, თუ ყველაზე უარესი არა ხარ. თუ მოთხრობისეული საზოგადოება არაჰუმანურია, რადგან აქ არავის სჭირდება ის, „ვისი დაბადებაც აღარავის ახსოვს, ვისაც მკლავებში და მუხლებში სიძაბუნის გემო ჩაუდგა...“[33], ბელადი ყველაზე მეტადაა „დაჯილდოვებული“ ამ თვისებებით. ბრბოს არ უჩნდება კითხვები, პროტესტის გრძნობა, განსჯის უნარი უგულებელყოფილია. მაშინ, როცა ძველი ხელისუფლის ადგილი ახალმა თვითნებურად და ძალმომრეობით დაიკავა, ცხოვრების რიტმი არ შეუცვლია: ნანადირევი გამოათრია და განაწილება განაგრძო.

როგორც წესი, ბრბოს არ უჭირს განტევების ვაცის მონახვა, საკუთარი შეცდომა რომ დააბრალოს. ხშირად „დამნაშავე“ განსხვავებულია „რატომღაც“. ბელადმა მყისვე იპოვა გამოსავალი, ხელმოცარულობა

30 გვ. 318.

31 გვ. 316.

32 ნ. ბარათაშვილი, „მერანი“.

33 გვ. 286.

იგის დააბრალა და მარტივად გადაწყვიტა, არ წაეყვანა სანადიროდ. აშკარაა, რომ ხელისუფლისთვის პრობლემად იქცა სახეშეცვლილი წევრი. გრძნობს საფრთხეს – უკიდეგანო მმართველობის ხელისშემშლელს. უსაფუძვლო არაა ბელადისეული განცდა, იგიმ არაერთგზის მოახერხა მისი შეცბუნება. ხელისუფალს იგის დასაბუთებული, არგუმენტირებული მსჯელობის მოსმენისას სახე ხან ისეთი აქვს, „...კაცი რომ დიდ ქვას დაეჭიდოს და ვერ ასწიოს“[34], ხან იმ მონადირის მსგავსი, რომელიც ღმუილის მიხედვით ვერ არკვევს, თუ რა ნადირია ტყეში[35]. გარდა იმისა, რომ ქარჩხაძის დამსახურებით თვალნათელია ბელადის სულიერი მდგომარეობა, ასევე პრიმიტიულადაა (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით) გადმოცემული ის, რომ ბელადს განსჯისა და ანალიზის უნარი არა აქვს: ვერ იხსენებს, რატომ უთხრა უარი იგის, „რადგან გუშინდელი დღე ბელადის სხეულში არ გაჩნდებოდა“[36]. გუშინდელი დღე „არ გაჩნდება სხეულში“, თუ მეხსიერება ღალატობს ადამიანს, ან მეორე მიზეზია: არ შეუძლია განვლილის, გადადგმული ნაბიჯისა თუ მოქმედების ანალიზი, ბელადი კი მეხსიერებას არ უჩივის. აქედან გამომდინარე, თავისთავად, პირდაპირ მისწრებაა, შვებაა მისთვის ნის მიერ მოშველებული თვალნათელი არგუმენტი („იგი სხვა ჯიშისაა“), რომლის გამეორებამდე „თეთრი შიში“ დაეუფლა[37]. ხსენებულ გრძნობასთან მიმართებით გამოყენებული ეპითეტი „თეთრი“ აშკარად ჩვეულებრივი შიშისგან გამიჯვნის საშუალებაა იმის მისათითებლად, რომ ეს ოდნავი სახეცვლილებაა ამ გრძნობა-განცდისა (შეიძლება შეშფოთება). სხვაგვარად, ვფიქრობ, ფუნქციას დაკარგავდა ხსენებული მხატვრული ხერხი. „თეთრი შიში“ მოძალადე შვილის საქციელის შემყურე ძველი ბელადის სახეზეც შენიშნა იგიმ. აქაც შეშფოთებას უნდა გულისხმობდეს ავტორი, რადგან ძველი ბელადის მოქმედებანი არ ჰგავს შეშინებული კაცის ქცევას.

იგი ბელადთან ბრძოლისას, უფრო სწორად, საკუთარი პოზიციის გამართლებისას, შესანიშნავ გზას ირჩევს – გამჭოლ მზერას შეაგებებს ძლიერ ხელისუფალს და იქამდე უყურებს, სანამ კვლავ არ შეაშფოთებს[38]. ბელადის სახეზე „ავი სუნი“ მონაცვლეობს, როგორც „მინდორს გადაეცლება და დაეფინება ჩრდილი, როცა ცის თვალის ქვეშ ღრუბლები დაცოცავენ“[39] (აქაც ორიგინალური, ნაწარმოებში დამკვიდრებული გზა აქვს არჩეული ავტორს განცდათა გადმოცემისას). თუმცა, ცოტა ხნის მერე თავდაჯერებით, კმაყოფილებით გაიმეორებს სხვის მიერ მიწოდებულ არგუმენტს, მაინც ჩიხშია. იგის სხეულში ამიტომაცაა გამარჯვების ყიჟინა. იგის, რომელმაც შეიძინა არგუმენტირებული მსჯელობის უნარი, შეიცნო საკუთარი თავი, რა თქმა უნდა, ხელეწიფება სხვისი, ამ შემთხვევაში ბელადის შეცნობაც. თუკი ხელისუფალმა დაბეჯითებით გაიმეორა ნისეული სიტყვები იმიტომ, რომ „თვალსაჩინო ადგილს იყო და... მათი პოვნა არ გაუჭირდებოდა“[40], ანუ დიდხანს ფიქრი, ჩაღრმავება არ სჭირდებოდა, რასაკვირველია, კვლავ დამარცხდებოდა, თუკი ტვინის განძრევას მოითხოვდა მისგან მოწინააღმდეგე. ამისათვის მზადაა იგი, მოიხარა და გაუცამტვერა ნაკარნახევი ბრალდება. ეს რომ არ არის მტკიცებულება და შინაგანი განსხვავებაა მხოლოდ ის, რის გამოც იგის შეიძლება „სხვა ჯიშის“ მქონე ეწოდოს, ამის გაგება არ ძალუძს ბელადს, ამიტომაც კვლავ უჩნდება „თეთრი შიში“. ნიშანდობლივია ის, რომ მას უკვე ხორცი აღარ აინტერესებს, გრძნობს საფრთხეს და რადგან მხოლოდ ერთადერთი გზა იცის (თან ნაცადი), რომლის საშუალებითაც შეიძლება იყო ბელადი, კეტს დაავლო ხელი. ამით აგრძნობინებს იგის, რომ ასე ადვილად არ დათმობს ძალაუფლებას.

სამწუხაროდ, მნიშვნელოვანი ბრალდება – „იგის ისეთი სიტყვები აქვს, როგორიც სხვებს არ აქვთ“ – ისევ ნიმ გამოკვეთა. დამხმარე არგუმენტის მოსმენის შემდეგ ბელადი ერთიანად მოზიდულია[41], თუმცა აღარაა

34 გვ. 303.

35 გვ. 315.

36 იქვე.

37 გვ. 316.

38 გვ. 317.

39 იქვე.

40 იქვე.

41 გვ. 318.

საშიში იგისათვის, მეტიც, საცოდავია, უმწეოა მხოლოდ იმის გამო, რომ არც კი იცის, რა არის არსებითი ამქვეყნად. უცხოა ყოველივე ის, რაც უკვე საამო, განცდილი და მნიშვნელოვანია იგისთვის. სიბრალულის განცდის დადასტურებაა იგის ღიმილიც ამ დროს, ბელადი მისთვის „ახალშობილი, ბრმა და უმწეო ლეკვის მსგავსია“[42]. ეს ასოციაცია, განსაკუთრებით სიბრმავეზე აქცენტირებით, კიდევ უფრო „ხასხასა“ წარმოდგენას გვიქმნის ბელადის აღქმის სისტემაზე.

იგი ცდილობს ახსნას ის, რაც განიცადა. შეაგრძნობინოს ბელადს, ტომს, რომ სამყარო მშვენიერია თავისი კანონზომიერებით, ერთიანობის პრინციპით. ადამიანები თითქოს უხილავი ძაფებით ვუკავშირდებით ერთმანეთს. ხატვის ნიჭის გამოვლენით სურს, თვალნათელი გახადოს ყოველივე, თუმცა ბედსაა მინდობილი. ალღომ თუ უმტყუნა, ბელადის რისხვა არ ასცდება. ავტორის მიერ შექმნილ ცოცხალ სცენასთან შედარების წყალობით უფრო საგრძნობი ხდება იგის მდგომარეობა: მონადირის მსგავსიაო, რომელმაც კვალს ვერ მიაგნო, მაგრამ „ალღოთი დაეძებს ნადირს“[43]. უნდა აღინიშნოს, რომ შესადარებელ ობიექტად ერთი რამ თითქმის არსად სახელდება, ქარჩხაძე თითქოს ცალკე პასაჟს ქმნის ამისათვის. აღნიშვნის ღირსია, თუ როგორაა გადმოცემული იგის მოქმედება მას შემდეგ, როცა აღმოაჩენს, რომ ვერ დახატავს („მიწა მაგარია“) და ბრძოლა მოუწევს ბელადთან. გარკვეულ ეტაპამდე პერსონაჟს მხოლოდ თვითგადარჩენის ინსტინქტი ამოძრავებს. ასეთ აღქმას გვიყალიბებს ავტორი, რომელიც პერსონაჟის მოქმედების აღწერისას არც ერთ წინადადებაში არ ასახელებს სუბიექტის სახელს – იგის – და მხოლოდ სხეულის ნაწილებზე ამახვილებს ყურადღებას: „სხეული ხსნას ეძებდა და სიტყვებს ყურადღებას არ აქცევდა. სხეული სწრაფად დატრიალდა, თვალებმა რაღაცას დაუწყეს ძებნა... ფეხებმა სწრაფად მიირბინეს... ხელებმა აიტაცეს“[44], თუმცა, საბოლოოდ, იგი მაინც შეძლებს დაეწიოს სხეულს“, დაიბრუნოს გააზრებული ქმედების უნარი და ეს მაშინ ხდება, როცა თავდასაცავად აღებული ქვა გადატყდება, ქვა, რომელიც შეტევის იარაღად უნდა ქცეულიყო, შემოქმედებით იმპულსად მოევლინა. ისევ პოზიტიური ემოციებით განიმსჭვალება იგი, „სხეულში ძლიერი სინათლე შემოიჭრა... ახლა სამყარო და იგი ერთი განუყოფელი რაღაც იყო“[45]. სამწუხაროდ, ამის დანახვება ვერ შეძლო ტომელებისათვის. ისინი, მით უმეტეს ბელადი, არ იყვნენ მზად ამისათვის. იგის მცდელობა – გასაგები გაეხადა სამყაროში არსებული ფასეულობანი – კრახით დასრულდა. „ბელადი იგია და იგი ბელადია“[46], – მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობთ გაიგო, ზედაპირზე მოტივტივე საგანივით შენიშნა ტომის მმართველმა და ეს იქცა კიდეც სასიკვდილო განაჩენის გამოტანის ძირითად მიზეზად.

მიუხედავად ყველაფრისა, არავის ადანაშაულებს იგი, არ მიილტვის კონფლიქტისკენ, უარს ამბობს შერკინებაზეც, რადგან იმას, რაც შეიძინა, „ვერაფერს დაარღვევინებდა“[47]. ბრბო კი... ვითომც არაფერი, იქცევა ისე, როგორც, თუნდაც ძველი ბელადის ახლით შეცვლის ჟამს – გააგრძელებს შეწყვეტილ ჭამას. და მაინც, რაღაც უთუოდ დაირღვა. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა ზუ, ნი და რესტავრირებული ქვის ბელადი. ალეგორიული დატვირთვა უნდა ჰქონდეს იმას, რომ ქვის ბელადს, რომელიც შემდგომში ზუმ აღადგინა, აკლია ვიწრო შუბლისა და ცალი ფეხის გამომსახველი ნატეხები. არ მეჩვენება, რომ შემთხვევითაა ეს აღნიშნული. მიმაჩნია, რომ კვლავ ხაზგასმულია ბელადის უუნარობა აზროვნებასთან, აღქმა-განსჯასთან მიმართებით (ვიწრო შუბლი) და მისი ერთპიროვნული მმართველობისა და სიძლიერის დასუსტება (ცალფეხაა, სიმყარე დააკლდა).

ინტერესმოკლებული არაა დიდი დაძინების ქარაფისკენ მიმავალი იგის განცდათა ჩვენებისა თუ შეფასების ავტორისეული მცდელობა („ვიღაცამ თუ რაღაცამ იმთავითვე იცოდა, რომ იგი უნდა გამართულიყო... ამიტომ ეხმიანებოდნენ შორეული ქედები: გაიმართოს იგი!.. ნის საკვირველი სითბო მუდამ გამართვას მოითხოვდა

42 გვ. 320.

43 გვ. 317.

44 იქვე.

45 იქვე.

46 გვ. 323.

47 გვ. 324.

იგისგან. სხვანაირად არ შეიძლებოდა“)[48]. თითქოს ნაჩვენებია ორი მომენტის გაერთიანება: ერთი მხრივ, სუბიექტის სურვილი და გარჯა, იყოს „გამართული“ და, მეორე მხრივ, ტრანსცედენტისგან მომდინარე ინციატივა, მადლი და სიყვარული.

მოთხრობის მიხედვით (იგის ასვლამდე დიდი დაძინების ქარაფზე), საზოგადოების წევრები უკან იხედებოდნენ „ხახაში ჩაკარგვამდე“. ესაა უმრავლესობის მიერ აპრობირებული გზა. მეორეა ძველი ბელადის არჩევანი: ერთადერთია, რომელიც არ მოიხედავს. იგი კი თითქოს პირველთა მოქმედებას იმეორებს, მოიხედავს, მაგრამ ეს მაინც მესამე გზაა, არაა გამეორება პირველისა, რადგან „ცოცხლად შეპყრობილი ნადირის ფერის“ მაგივრად „სხეულში თბილმა ტალღამ დაუარა“[49], სახეზე სითბოს სუნით ტოვებს ქვეყანას და ამის საფუძველი აქვს. ჯერ ერთი, უკვე იცის, რა დარჩება მისგან, მეორე, ხვდება, რომ თუნდაც ბრბოს, „ვიწროშუბლიანებს“ (შესანიშნავი ეპითეტია ბრბოს ფსიქოლოგიის, სახასიათო შტრიხის გამოსაკვეთად), ქვეცნობიერად მაინც სურს „გაიმართოს“ ვიღაც. ამიტომაც ჩნდება იმედი და იგის წარმოსახვით ტომი გამართული და მხრებში გაშლილია. გასხივოსნებული თვალები და თეთრი მოსასხამი (აქცენტირებით ეპითეტებზე) უნდა მეტყველებდეს განახლების სურვილზე, საზოგადოების თუნდაც გაუაზრებელ ლტოლვაზე სულიერი მეტამორფოზისკენ.



ნაწარმოები იმასაც შეახსენებს მკითხველს, რომ საფრთხე ყოველთვის იარსებებს მანამ, სანამ ბელადობის ინსტიტუტი იცოცხლებს. პიროვნებას ელის განსაცდელი ასეთ სიტუაციაში, უფრო მეტიც, თავისუფალი აზროვნებისა და ჭეშმარიტების შეცნობის გამო დასჯა ემუქრება („იგი ავა მაღალ ქარაფზე და დიდი დაძინების ხახაში ჩაეშვება... ეს სიტყვები... ყველა მომავალი ბელადის თავში იქნებოდა საშიში, როგორც მომარჯვებული კეტი“)[50]. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის და ყველგან შეიძლება მოხდეს მსგავს გარემოში. ამიტომაც არა აქვს პერსონაჟს სახელი, ამიტომაც არ ექცევა პრეისტორიულ ჩარჩოში ნაწარმოები, რაც არ უნდა ავტორისეული მინაწერი ჰქონდეს მას.

და ბოლოს, რა თქმა უნდა, კაცობრიობის არსებობას აზრი ეკარგება პიროვნებათა გარეშე. მათი პრინციპულობა, სულიერი სიჯანსაღე, კაცთმოყვარეობა ხელს უშლის საზოგადოების დაკონსერვებას. ისინი კვალს ტოვებენ, ღირებულებები, რომელთაც ეწირებიან, არ ცვდება. ამით მთავრდება კიდეც ნაწარმოები: „იგისგან სწორედ ის დარჩა, რაც იგიში იგი იყო“[51].

P. S. შეგნებულად მოვერიდე პარალელებს მსგავსი თემისა და იდეის მქონე ნაწარმოებებთან. მათ, საბედნიეროდ, მეცნიერთა ყურადღება არ მოჰკლებიათ.

---

48 გვ. 329.

49 იქვე.

50 გვ. 324.

51 გვ. 330.

ბავშვები

ავტორი: ზურა ბაბუციძე

მიყვარს ბავშვების გადაღება. ისინი ფოტოს არასდროს დაგიწუნებენ და ყველაზე მაღალი ალბათობაა იმისა, რომ კადრი ემოციური გამოვიდეს. ხელოვნება კი აბა რის ხელოვნებაა, თუ ემოციას არ აღძრავს. „ბავშვთა ფოტოგრაფი“ იმ ფარული იმედითაც ცხოვრობს – წლების შემდეგ მისი პატარა „მოდელის“ უკვე „პიჯაკჰალსტუხიან“ სერიოზულ ფოტოებს ბავშვობიდან მოპარულ მის კადრებს მიადებს და იამაყებს, რომ ეს ცნობილი ადამიანი პატარაობაში პირველად მისმა კამერამ აღმოაჩინა.

ჩემ მიერ გადაღებული ბავშვების უმრავლესობამ არც იცის, რომ ფოტოაპარატის სამიზნეა, ვცდილობ იმ მომენტში გადავიღო, როცა პატარას ამისათვის „არ სცალია“. ამიტომ ჩემს ფოტოებში ვერ შეხვდებით „აბა, გაიღიმე-გაიმართე“ კადრებს. აქ დისციპლინა არ ურევია. და თუ თქვენ ის სტანდარტული უფროსი ხართ, რომელსაც არ აქვს დრო ბავშვს დააკვირდეს – დაათვალიერეთ... იმისათვის, რომ პერსონაჟებზე იყოთ ორიენტირებულები, ფერებიც კი წავშალე.

რუბრიკა: ფოტორეპორტაჟი

ნიკოლოზ ბარათაშვილი – საზოგადო მოღვაწე

ავტორი: თამაზ ჯოღოგუა

ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში საზოგადოებრივი მნიშვნელობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეებშიც მონაწილეობდა (თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა მიერ დაარსებული ხელნაწერი ჟურნალი, მანანა ორბელიანის ლიტერატურული სალონი... ნ. ბარათაშვილი წევრი იყო იმ ჯგუფისა, რომელშიც მის გარდა შედიოდნენ პლატონ იოსელიანი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ალექსანდრე და გრიგოლ ორბელიანები და სხვ.; ამ ჯგუფს 1840-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ისტორიის შედგენა ჰქონდა გადაწყვეტილი, თუმცა გარემოებათა გამო ამ მიზნის განხორციელება ვერ შეძლო).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის საინტერესო ფურცელია მისი მონაწილეობა დიმიტრი ყიფიანის ინიციატივითა და საერთო ხელმძღვანელობით „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ დაარსებაში („ბიბლიოთეკა“ დაფუძნდა 1842 წლის სექტემბერში, პრაქტიკულ

ნიკოლოზ ბარათაშვილი - მხატვარი ლ. ჭოლოშვილი

მუშაობას კი 1843 წლის იანვარში შეუდგა. იგი მოთავსებული იყო დიმ. ყიფიანის სახლში, დღევანდელ ანტონ ფურცელაძის ქუჩაზე, წმ. სამების ეკლესიის გვერდით. დამფუძნებელი წევრები იყვნენ: მიხეილ თუმანიშვილი, ზაქარია ფალავანდიშვილი, ელიზბარ ერისთავი, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, კონსტანტინე დადიანი, ლევან მელიქიშვილი და სხვ. – სულ 21 პირი, რომლებსაც შემდეგ კიდევ რამდენიმე დაემატა, მათ შორის, ალექსანდრე ჭავჭავაძე).

„ბიბლიოთეკა“ დაკომპლექტებული იყო რუსეთიდან (პეტერბურგი, მოსკოვი) გამოწერილი, საქართველოშივე მოპოვებული თუ შემოწირულებებით მიღებული ქართული, რუსული, დასავლეთევროპული (ძირითადად, ფრანგული, რაც, თავის მხრივ, მეტყველებს 1840-იანი წლების ქართული განათლებული წრეების ფრანკოფილურ ინტერესებზე, დამახასიათებელზე იმ პერიოდის ევროპული სამყაროსათვის) წიგნებითა და ჟურნალებით. როგორც „ბიბლიოთეკის“ წესდების ზოგიერთი პუნქტიდან, აგრეთვე, წევრთა მიმოწერიდან ირკვევა, დიმ. ყიფიანსა და მის თანამოაზრეებს საბიბლიოთეკო ცენტრის შექმნაზე უფრო დიდი და შორს მიმავალი ამოცანები ჰქონიათ დასახული: ძველი ქართული ხელნაწერების მოძიება, თავმოყრა და დაცვა, მათი შესწავლა და პუბლიკაცია, პერიოდული გამოცემის დაარსება, მთარგმნელობითი და საკვლევაძიებო საქმიანობისათვის ხელის შეწყობა და სხვ.; ერთი სიტყვით, ჩაფიქრებული იყო ფართო პროფილის



„ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელი წევრთა სია

„ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელი წევრთა ხელმოწერები

კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სალიტერატურო ცენტრის ჩამოყალიბება. უნდა აღინიშნოს, რომ „ბიბლიოთეკას“ საკუთარი ნაშრომები შესწირა მარი ბროსემ, რომელიც, ამას გარდა, პეტერბურგში იძენდა და „ბიბლიოთეკას“ უგზავნიდა მრავალფეროვან ლიტერატურას („ბიბლიოთეკასთან“ დაკავშირებული ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტური მასალა, მათ შორის, წესდება, მიმოწერა, დამფუძნებელი თუ შემდეგ შემატებული წევრებისა და გამოწერილი წიგნების სიები, ფოსტის ქვითრები წიგნით მოვაჭრეებისათვის ფულის გაგზავნის შესახებ და სხვ. ძირითადად დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დიმ. ყიფიანის პირად საარქივო ფონდში).

„ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკამ“ გამოაცოცხლა იმდროინდელი საზოგადოების ლიტერატურული და საგანმანათლებლო ინტერესები, მაგრამ, სამწუხაროდ, კარგად დაწყებულმა საქმემ შესაფერისი განვითარება ვერ პოვა: ვერ მოხერხდა „ბიბლიოთეკის“ საქმიანობით საზოგადოების ფართო ფენების დაინტერესება, „ბიბლიოთეკის“



ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელნაწერი

არაერთი წევრი სამსახურებრივმა ვალდებულებამ აიძულა დაეტოვებინა თბილისი და სხვ. („ჩემი ბიბლიოთეკის წევრები თანდათან შემომეცალნენ და 1848 წ. მე დავრჩი მისი ერთადერთი წარმომადგენელი“ – გულისტკივილით წერს თავის „მემუარებში“ დიმ. ყიფიანი, რომელსაც დარჩენილი წიგნები თბილისში 1846 წელს დაარსებული საჯარო ბიბლიოთეკისათვის ჩაუბარებია და ამით „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკამ“ არსებობა შეწყვიტა).

მართალია, მაშინ ვერ მოხერხდა თბილისში საზოგადოებრივ-კულტურული ცენტრის შენარჩუნება, რისი ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ საზოგადოება მოუმზადებელი აღმოჩნდა ინტელექტუალური ძალების კონსოლიდაციისა და მიზანმიმართული საქმიანობისათვის, მაგრამ ამ მცდელობას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია – „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკა“ XIX საუკუნის საქართველოში ***პირველი ცდაა საზოგადოებრივ ინიციატივაზე დაფუძნებული ეროვნული მიზანდასახულობისა და მნიშვნელობის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციის დაარსებისა*** და ამ მხრივ იგი წინამორბედია თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკებისა, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“, „ქართული დრამატიული საზოგადოებისა“ და სხვ.



К подпискѣ на 1846. годъ.

ПРАВИЛА

ТИФЛИССКОЙ ЧАСТНОЙ БИБЛІОТЕКИ.

1.

Когда число членовъ, вносящихъ ежегодно по 30 руб. серебромъ, будетъ болѣе 5 человѣкъ, они избираютъ изъ себя трехъ и предоставляютъ имъ выборъ и выписываніе книгъ. Число же членовъ въ теченіи одного года не можетъ быть болѣе тридцати.

2.

Каждому изъ членовъ предоставляется право на половину вносимой суммы, т. е. на 15 руб. серебромъ, предложить выписку книгъ по собственному выбору.

3.

Всякій изъ членовъ можетъ внести въ библіотеку, сверхъ денежнаго взноса, и книги, съ тѣмъ однакожъ, чтобъ онѣ были ему возвращены, если библіотека будетъ со временемъ почему нибудь упразднена, или выйдетъ изъ завѣдыванія учредителей, или же когда самъ внесшій ихъ выбудетъ изъ числа членовъ. Отъ воли хозяина, или его наслѣдниковъ, будетъ зависѣть распространить на подобныя книги изложенное ниже въ 17-мъ пунктѣ правило.

4.

Книги передаются членамъ по порядку вступленія отъ нихъ требованій.

5.

На прочтеніе полагаются слѣдующіе сроки:

На томъ въ 12 долю листа — — — 6 дней
,, — — 8 — — — — — — 8
,, — — 4 — — — — — — 10
,, — — фоліантъ — — — — — 12 дней

Сроки опредѣляются для книгъ легкой литературы; для книгъ же ученыхъ и учебныхъ увеличиваются двумя днями.

6.

Кто пожелаетъ взять книгу для перевода на другой языкъ, или для изученія, тому не полагается срока; но обязанъ возвращать по востребованіи.

„ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ წესდება

რაც შეეხება საკუთრივ ნიკოლოზ ბარათაშვილის მონაწილეობას ამ საქმეში, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტური მასალის მიხედვით, მას ხელი აქვს მოწერილი „ბიბლიოთეკის“ დამფუძნებელ წევრობაზე და შეტანილი აქვს 1843 წლის საწევრო თანხა, ხოლო 1844 წლის სიაში იგი არ ჩანს, რასაც მკვლევარი შალვა გოზალიშვილი პოეტის ხელმოკლეობით ხსნის.

როგორ დაამარცხა მადრიდის „რეალი“ თბილისის „დინამომ“?

ლევან მოსეშვილი „დიდი გამარჯვების“ შესახებ

ავტორი: ქეთი კვიტატიანი

მატჩს ესწრებოდა 82 წლის გრიგოლ რობაქიძე...

დიახ, ეს ფაქტი მართლაც მოხდა 1962 წლის 29 ივნისს ჟენევაში. ოღონდ კალათბურთის „დინამომ“ დაამარცხა ფინალში მადრიდის „რეალი“ და არა ფეხბურთისამ, თორემ ფეხბურთელების ასეთი გამარჯვება ხომ ყველას ეცოდინებოდა და ყოველგვარი დავიწყების გარეშე, უწყვეტად გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ამ რამდენიმე წლის წინ დაიბეჭდა სტატია სათაურით: „დიდი გამარჯვება, რომელიც არ გვახსოვს“ („ტაბულა“ 06. 2012), რომელშიც ეწერა: „სამწუხაროდ, ბევრმა არც კი იცის, რომ ქართული სპორტის ისტორიაში ყველაზე დიდი დღე სწორედ ის იყო...“ დღე, რომელიც ფორმალური გართულებების გამო შესაძლოა სულაც არ დამდგარიყო. საქმე ისაა, რომ ესპანელებმა უარი თქვეს ვიზების გაცემაზე და თან არც საბჭოთა ტერიტორიაზე უნდოდათ თამაში.

გუნდის წევრი, კალათბურთელი ლევან მოსეშვილი ჩვენთან საუბარში იხსენებს: „მაშინ 22 წლის ვიყავი, გამარჯვებაზე ვოცნებობდი, მაგრამ ვნერვიულობდი. **სტადიონზე ძალიან ცოტა ხალხი იყო, ვიცოდით, რომ ქართველი ემიგრანტები ესწრებოდნენ მატჩს, მაგრამ უშიშროების წარმომადგენელმა გაგვაფრთხილა, რომ მათთან კონტაქტს მოვრიდებოდით. გამარჯვების შემდეგაც უკანა კარიდან გაგვიყვანეს, მილოცვები რომ არ მიგვეღო.“**

მწერალი შთაბეჭდილებებსა და ემოციებს დას წერილით უზიარებს: „მე ძალიან ვღელავდი. გასაგებია: სისხლი! ეს გამარჯვება ქართველების დიდად მნიშვნელოვანია. დავინახე ყამირითგან ამოხეთქილი ძალა ქართული... გამარჯვებულები არ „აყვინჩილებულან“ გამარჯვებით. ერთი მათგანის სახეზეც ვერ ამოიკითხავდი: „ხომ გაჯობეთ!“ ზრდილად, რაინდულად, ქართველურად გაუწოდეს ხელი მოპირდაპირეთ. დაუვიწყარი სურათია!.. გავიფიქრე: მივსალმებოდი გამარჯვებულებს, გადავიფიქრე, შეიძლება „ეუცხოვოთ-მეთქი“, გავივლე გულში (მიხვდებით – რის გამო). სიხარულთან ერთად ბასრი ტკივილი ვიგრძენი სულის სიღრმეში...“

გრიგოლ რობაქიძე იმავე წლის შემოდგომაზე გარდაიცვალა. მან გუნდის რამდენიმე წევრთან მისვლა და მილოცვა მაინც მოახერხა, თუმცა ეს ინფორმაცია თბილისში ჩამოსულმა „დინამომ“ საიდუმლოდ შეინახა და მხოლოდ „პოლიტიკური დათბობის“ შემდეგ გაამჟღავნა. „შევატყვე, გრიგოლ რობაქიძე კალათბურთში არც თუ ისე კარგად ერკვეოდა, მაგრამ აღფრთოვანებული

იყო ჩვენი თამაშით. აღფრთოვანებული იყო ჩვენი ტოლერანტობით, იმით, რომ მატჩის შემდეგ ესპანელებს მეგობრულად ხელს ვართმევდით და ვამხნევებდით“ (ლ. მოსეშვილი).

„დიდი მატჩის ერთ-ერთმა გმირმა **ილარიონ ხაზარაძემ** გაიხსენა 50 წლის წინ ჟენევაში მომხდარი ამბავი და არანაირი მიზეზი არ მაქვს, რომ მისი სიტყვების სისწორე არ ვირწმუნო: – ყველამ ვიცოდით, რომ დარბაზში გრიგოლ რობაქიძე იყო, როცა ამის საშუალება მომეცემოდა, თვალით ვეძებდი კიდეც, რომ ამ ბუმბერაზი ადამიანისთვის თვალი მომეკრა. შემდეგ თამაშმა ჩამითრია და სიმართლე გითხრათ, არც გამხსენებია. როდესაც ენერგიისა და ემოციისგან დაცლილები სპორტული დარბაზის გვირაბისკენ გავემართეთ, უცებ ვიგრძენი, რომ ვიღაც მხარზე შემეხო, მოვტრიალდი და ჩემ წინ დიდი ქართველი იდგა, მიღიმოდა და ლამის ჩურჩულით მითხრა: „გილოცავთ, ვაჟკაცებო, თქვენ მე მრავალი წლით გამაახალგაზრდავეთო“. სულ ეს იყო, ჩემ გარდა ეს სხვებმაც დაინახეს, მაგრამ იქვე მოვილაპარაკეთ, თბილისში ამაზე კრინტი არ დაგვეძრა“ (თამაზ ჩიქვანაია „ჟენევის მატჩი და მოულოდნელი შეხვედრა გრიგოლ რობაქიძესთან“).

1962 წელს „დინამოს“ კალათბურთის გუნდის მწვრთნელი ოთარ ქორქია იყო, კაპიტანი – ლევან ინწკირველი. გუნდის წევრები: ვალერი ალთაბაევი, ანზორ ლეჟავა, ვლადიმერ უგრეხელიძე, ალექსანდრე კილაძე, ალექსანდრე პეტროვი, გურამ მინაშვილი, ლევან მოსეშვილი, ილარიონ ხაზარაძე, ამირან

სხიერელი, რევაზ გოგელია. მოწინააღმდეგე გუნდები ერთმანეთს არ იცნობდნენ, მხოლოდ ჩასვლისას მიუვიდათ ქართველებს ინფორმაცია, რომ „რეალში“ ერთი „უძლეველი“ ამერიკელი თამაშობსო, ეს გახლდათ უეინ ეი ჰაიტაუერი, რომელმაც ამ თამაშში 30 ქულა მოუტანა „რეალს“. „დინამოდან“ პირველი ოთხი ქულა ალთაბაევმა აიღო, ის და ანზორ ლეჟავა ყველაზე წარმატებულები აღმოჩნდნენ – ერთმა 17, ხოლო მეორემ 16 ქულის მოპოვება შეძლო. მცირე სხვაობით – 90:83, მაგრამ საბჭოთა კავშირის უცნობმა გუნდმა მაინც მოახერხა ევროპაში ცნობილი და წარმატებული „რეალის“ დამარცხება. „ოცდაათი წელიწადია, თვალს ვადევნებ ევროპის კალათბურთელთა თამაშს, მაგრამ ასეთი საინტერესო ბრძოლა ჯერ არ მინახავს. „რეალი“ ქარიშხალი და ტექნიკა იყო, „დინამო“ – ქარიშხალი, ტექნიკა და სათამაშო დისციპლინა“, – განაცხადა მატჩის შემდეგ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უილიამ ჯონსმა.

დახვედრა თბილისის აეროპორტში...

ლევან მოსეშვილი: **„თბილისის აეროპორტში უამრავი ხალხი დაგვხვდა, გვილოცავდნენ, ერთი ამბავი იყო ატეხილი. ბარგის აღებაც არ გვაცადეს, გაგვაქანეს „ცეკას“ მაშინდელ პირველ მდივანთან, ვასილ მჟავანაძესთან. ისიც აღფრთოვანებული იყო და გვითხრა, რომ „სამშობლო არ დაგვივიწყებდა ამ ღვაწლს!“** ჯილდოდ დიდი არაფერი მიგვიღია,





მცირე ფულადი პრემიები დაგვირიგეს მოგვიანებით, მაგრამ ჩვენ ამ მატჩით აღიარება და სიყვარული მოვიპოვეთ, ამ გამარჯვებით „დინამომ“ ისტორია შექმნა. პირადად ჩემთვის ესპანელების დამარცხება იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ დარწმუნებული ვიყავი, ჩემი გვარი ევროპული პრესის ფურცლებზე მოხვდებოდა, რაც დაკარგული მამის ძებნაში დამეხმარებოდა. მამაჩემი 19 წლის წავიდა ომში 1941 წელს, მისი დაღუპვის ცნობა არ მოსულა. გვქონდა ინფორმაცია, თითქოს საზღვარგარეთ გააგრძელა ომის შემდეგ ცხოვრება.

1953 წელს პარიზში გამართული მატჩის დროს გავიცანი ქართველი ემიგრანტი პაწკა კალატოზიშვილი, რომელმაც მითხრა, რომ ფრანგ ემიგრანტებს შორის სახელითა და გვარით: ვახტანგ მოსეშვილი, არავინ იყო და ვარაუდობდა, რომ შესაძლოა ესპანეთში დასახლდა, რადგან ყველაზე მეტად ესპანეთში მყოფ ქართველებთან ჭირდა თურმე კონტაქტის დამყარება. მოგვიანებით და სამწუხაროდ ეს ამბავიც არ დადასტურდა. მე მამა ვერ ვიპოვე“.

მატჩის ფოტოარქივის შესახებ...

ლევან მოსეშვილი: **მატჩის ამსახველი ფოტომასალა თითქმის არ შემორჩენილა. ჩემი ფოტოაპარატით რაც გადავიღეთ, ეგ იყო და ეგ. მწერალი დათო ტურაშვილი ეძებდა ესპანეთში არქივს, რომელიც სრულიად განადგურებული აღმოჩნდა ესპანელი დიქტატორის ფრანცისკო ფრანკოს მრისხანების გამო. საბჭოთა გუნდთან „სამეფო“ გუნდის დამარცხება მას სრულიად შეუფერებლად მიუჩნევია და ამ სამარცხვინო ფაქტის მაქსიმალურად მიჩქმალვა უბრძანებია.**

დათო ტურაშვილი: „მადრიდში ყოფნის დროს, დაახლოებით 10 წლის უკან, ვეძებდი რეალი-დინამოს თამაშის ამსახველ ფოტომასალას. მადრიდის უნივერსიტეტის წარმომადგენლები დამეხმარნენ მასალის მოძიებაში, სპეცსამსახურების არქივიდან ამოიღეს რამდენიმე ფოტო, რომლებიც თბილისში ჩამოვიტანე, მათი ასლები საზეიმო ვითარებაში გადასცეს მატჩის მონაწილეებს. 60-იანი წლების ესპანურ პრესაში არცერთი ფოტო არ დაბეჭდილა, მხოლოდ ეწერა, რომ „მადრიდმა“ სრულიად შემთხვევით და ძალიან პატარა სხვაობით წააგო საბჭოთა გუნდთან. უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ საბჭოთა მთავრობამაც არ გააყოლა „დინამოს“ ფოტოგრაფი, რადგან ფინალში გასვლამდე შეხვდნენ „ცეესკა“- ს გუნდს, რომელთანც აუცილებლად უნდა წაეგოთ. „დინამოს“ მწვრთნელი ოთარ ქორქია პირადად დაიბარეს და მიაწოდეს ეს ინფორმაცია. მან უარი განაცხადა და როგორც ჩანს, ამის ბრალიც იყო – „გაბრაზებულ“ მთავრობას დიდად რომ არ შეუწუხებია თავი დიდი გამარჯვების „გაპიარებაზე“.

როგორ იყენებდა სსრკ „მაღალი“ მოსწავლეების პოტენციალს?..

ლევან მოსეშვილი: „საქართველოს განათლების სამინისტროს ჰქონდა ვერის ბაღში საკალათბურთო ბაზა, სადაც I, II და III დონის გუნდებში თამაშობდნენ ბავშვები. სამივე დონის წარმატებით დაძლევის შემდეგ „ქარიშხალას“ ან „დინამოს“ გუნდებში ხვდებოდა მოზარდი. ეძებდნენ მაღალ ბავშვებს. მე იქვე, კანდელაკის ქუჩაზე ვცხოვრობდი და სულ ფანჯრიდან მქონდა გადმოყოფილი გრძელი ფეხები. რამდენჯერმე მირჩიეს კალათბურთზე მისვლა, მაგრამ ჩემი ბედი მაინც ერთმა მნიშვნელოვანმა მოვლენამ გადაწყვიტა: ერთ დღესაც რაღაც ხმაური

ლ. მოსეშვილის 75 წლის იუბილე

მომესმა, გავიკითხე და აღმოჩნდა, რომ ვერის ბაღში კალათბურთის ჩემპიონატი ტარდებოდა. 13 წლის ვიყავი და ბიჭებთან ერთად მეც გავიქეცი საყურებლად. მაშინ ვნახე პირველად ოთარ ქორქია, რომელიც მერე ჩემი მწვრთნელი გახდა, მომეწონა ლევან ინწკირველის თამაში, რომელიც ჩვენი გუნდის კაპიტანი იყო, როცა „დინამოში“ გადამიყვანეს“.

„ქართული კალათბურთი დიდი მოვლენაა. თბილისის „დინამო“ 1950-1970 წლებში ძალიან ძლიერი გუნდი იყო – დინამოელები რამდენჯერმე იყვნენ სსრკ-ს ჩემპიონები, ეს ადვილი არ იყო არა მარტო სპორტული კუთხით, არამედ იმიტომ, რომ საკავშირო ფედერაციასა და მსაჯების დიდ ნაწილს უფრო მეტად მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები ესიმპათიურებოდათ“, – ამბობს ყველაზე ტიტულოვანი ესტონელი კალათბურთელი იაკ ლიპსო გაზეთ „ლელოსათვის“ მიცემულ ინტერვიუში (ავტორი: თ. პაჭკორია).

ფოტომასალის მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით საქართველოს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასა და ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდს.

ალექსანდრე რონაშვილი

ავტორი: ილია ჭავჭავაძე

ალექსანდრე რონაშვილი

ქართველები ვამბობთ ხოლმე: ვინც მოკვდა – თავსა მოუკვდაო. მართალია, ბევრი იმისთანა კვდება ჩვენში თუ სხვაგან, რომელიც მართლა მარტო თავის-თავს უკვდება. ნათქვამია, იგი არაფერში ვარგაო, ვინც მარტო თავის-თავისათვის ვარგა, და ამისთანა სხვას ვის რას მოუკვდება, თუ არ მარტო თავის-თავსა.

ეს არ ითქმის იმაზე, ვის საფლავის წინაშე 15 მაისს, ჩვენდა სამწუხაროდ, ვიდეგით, რომ უკანასკნელად და საუკუნოდ გამოვთხოვებოდით და საუკუნოდ განსვენება გვეთქვა. ალექსანდრე რონაშვილი თავის-თავს კი არ მოუკვდა, მოუკვდა თავის ერს, მოუკვდა ქართველობას, რომლის ბედი და უბედობა თავის ბედად და უბედობად გაიხადა და ამის გარე სხვა საგანი ცხოვრებისა არა ჰქონია, როგორც ეხლა სჩანს და როგორც განსვენებულმა დაამტკიცა მთელის თავისის ცხოვრებით და თავისის ანდერძით.

რა იყო და ვინ იყო ალექსანდრე რონაშვილი, რომ მისმა უჩინარმა სახელმა იმოდენა ხალხი მიიზიდა მისს საფლავზე უკანასკნელის პატივის-საცემლად, მისის გვამის გასაპატიოსნებლად? იქ იყო ყველა წოდების კაცი თუ ქალი, ყველა ხარისხისა, ყველა ხელობისა, ერთნაირად მწუხარე და მგლოვიარე. მას არა ჰქონდა არც დიდი გვარი, არც ხარისხი რამ სახელმწიფო მოხელისა, არც სწავლა, არც არა-რა იმისთანა თვალად გამოსაჩენი და გარედამ მიკერებული ღირსება. იგი იყო უბრალო გლეხკაცის შვილი, შვილი ღარიბის, ღატაკის ოჯახისა, უმწეო, უნუგეშო, უსწავლელი. ვამბობთ, უსწავლელი, თუმცა სკოლაშიაც ყოფილა, მაგრამ იმისთანა სკოლაში (ვოენი კანტონისტების სკოლა), საცა უფრო მოსალოდნელია კაცს გონება დაეხშოს, ვიდრე გაეხსნას და გაუძლიერდეს. ეგრე გარედამ ხელ-შეუწყობელი როგორ გახდა იმისთანა კაცად, რომ დღეს მისი დაკლება ქვეყნის დასაკლისად მიგვაჩნია?

ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე რონაშვილის ფოტო

სახელი და საქები მისი ის არის, რომ იგი თავისის შინაგანის ღირსებით გახდა ამისთანა კაცად, მაშინ, როდესაც ყოველივე გარემოცული გარემოება ამ ულმობელის წუთისოფლისა მისი შემხუთავი და მომწყვლელი იყო. იგი იყო მოსილი იმ წმინდა მადლითა, რომელსაც ღმერთი აღირსებს ხოლმე თვისთა რჩეულთა და რომლითაც კაცი კაცობს ამ ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, გლეხია თუ თავადი. იგი იყო მხნე, გამრჯელი და უკან-დაუხეველი, რაკი საქმეს აიჩენდა და ხელს ჩაჰკიდებდა. მან არარაისაგან შეჰქმნა საქმე, არარაისაგან შეიძინა ქონება და ჩვენ, ქართველებს, მაგალითი გვიჩვენა იმისა, თუ რის შემძლებელია ცალკე კაცი, თუ იმხნევებს და გაირჯება და არ შეუშინდება ხელ-შეუწყობელს გარემოებას. მაგალითი ხომ ყველა ქადაგებაზე ძლიერია და მჭევრმეტყველი და აი მაგალითი ძლევა-მოსილობისა, როცა გარჯა და მხნეობა იბრძვის და

გული ჰგულობს ადამიანისა.

ეჩივანსკის მოედანი. შესასვლელი აღექსანდრე როინაშვილის ფოტოსტუდიაში

თვითოეული ამისთანა ადამიანი ძალ-ღონე და ციხე-სიმაგრეა ერისა, ქვეყნისა, და მის მიერ განვლილი, ღვაწლით დაქნილი გზა მთელი სკოლაა და მწურთვნელია ყველასი, ვისაც-კი კაცობისათვის გული ერჩის. საცა ამისთანანი გამრჯელნი და მხნენი არიან, ქვეყანა იგი ძლიერია და ღონიერი სულითაც და ხორცითაც. არავის ენატრება ამისთანა სამაგალითო კაცნი, როგორც ქართველობას, რომელმაც მარტო წუწუნი იცის და არა საქმის აჩენა, საქმის გატანა, საქმისათვის ბრძოლა, ომი და ჭიდილი.

გარჯისა და მხნეობის მაგალითი ხომ თავის-თავადაც კარგია და საქები, მაგრამ განსვენებული ალ. როინაშვილი მარტო ამით არ არის ჩვენ-მიერ სახსენებელი და პატივსაცემი. მას გულში ეჯდა იგი პატიოსანი გრძნობა, რომელსაც მამულიშვილურ სიყვარულს ეძახიან, რომელიც დედაა, მშობელია გარჯისა და მხნეობისა და რომელიც იქა ჰსადგურობს, საცა უბრყვილო, უანგარო და პატიოსანი გულია. ამ სიყვარულის სხივებით გულგამთბარი და გაძლიერებული იგი იღვწოდა, ირჯებოდა, ჰშველოდა ობოლს, ქვრივსა, უმწეოს, უნუგეშოს, თითონ იკლებდა, ზოგს სხვას ჰმატებდა, ზოგს ინახავდა, გროშს გროშზე აწებებდა და ბოლოს თავისი ნაღვაწ-ნაამაგევი, პატიოსანი შრომით მოგებული, თავისს ქვეყანას მიართვა: აჰა, შენთვის ვიღვაწე, ვიამაგე ჩემის შეძლებისამებრ და ჩემი ნაღვაწ-ნაამაგევი შენ მოიხმარე შენს სადღეგრძელოდაო.

აღექსანდრე როინაშვილის ფოტოსტუდიის შტამპი

აქ გამოსაკითხი ის-კი არ არის, ბევრი შესწირა თავის ქვეყანას, თუ ცოტა. საქმე იმაშია, რომ რაც ჰქონდა, სულ მთლად თავისის ქვეყნის საკურთხეველზე დასდვა შესაწირად. შესაწირავი იქნება დიდი არ იყოს, მაგრამ დიდია გული, საცა ამისთანა სიყვარული ქვეყნისა ჩასახულა და გაზრდილა, და სადიდებელი მით უფროა, რომ იგი გული უმწეო და უნუგეშო გლეხკაცის გული იყო, რომლის უმადური ცხოვრება ისეა მოწყობილი ამ ულმობელ ქვეყანაში, რომ ძნელად თუ მოიცლის თვის საკუთარ ჭირ-ბოროტს გარე გული და ხელი სხვას რასმე მიაწვდინოს, სხვაზე რასმეზე იზრუნოს და იფიქროს. ამ ჭირ-ბოროტს ქვეყნისას წაუღია და წაუშლია ვინ იცის რაოდენი ხალხი და ალ. როინაშვილმა-კი სძლია ამ ჭირ-ბოროტსა და თვისი

ავლაბრის ხიდი, აღექსანდრე როინაშვილის ფოტო

უჩინარი სახელი და გვარი ღირს-სახსენებელი გახადა თავისს ქვეყანაში.

ვინც თითონ მოიპოვებს სახელს, იგი ბევრით წინ არის იმაზე, ვისაც სახელი მამა-პაპათაგან რჩენია და რგებია. ამიტომ არის თქმული, რომ უფრო სასახელოა კაცმა თავისი გვარიშვილობა ასახელოს, ვიდრე სახელოვანის გვარიშვილობით თავს იწონებდესო.

1898

ეკონომიკური სტრუქტურები და ინსტიტუციები ანტიკურ სამყაროსა და საქართველოში

ავტორი: თეა ღუღარიძე

1) შესავალი. ეკონომიკური სტრუქტურები უძველესი ცივილიზაციების განვითარებასთან ერთად ყალიბდებოდა. დიდი ხნით ადრე, ვიდრე ქალაქ-სახელმწიფოები წარმოიქმნებოდა, მოსახლეებსა თუ ქალაქებს შორის წარმოებდა სავაჭრო გაცვლა, რაც ხელს უწყობდა სავაჭრო ურთიერთობებისა და, შესაბამისად, ეკონომიკური სტრუქტურების ჩამოყალიბებას. მიუხედავად იმისა, რომ ძველ ბერძნებსა და რომაელებს არ ჰქონდათ ენაში თანამედროვე ტერმინის – ეკონომიკის ეკვივალენტი, მათ მაინც შეძლეს განევითარებინათ ის საქმიანობა და მიმართულებები, რომლებიც დღეს შეიძლება ამ სტრუქტურის შემადგენელ უმთავრეს ნაწილებად მოვიაზროთ. მასში ვგულისხმობთ მიწის მესაკუთრეობას, სოფლის მეურნეობას, სავაჭრო ურთიერთობებს, სახელმწიფო ხაზინას, გადასახადებს, შემოსავლებს, ანაზღაურებას, ბანკებს, მევახშეობას, საგარეო და საშინაო ბაზარს და ა. შ. სწორედ ამ საქმიანობათა საფუძველზე ძველ ბერძნულ ენასა და ლათინურში დამკვიდრდა სპეციალური ტერმინოლოგია, რომელიც მაშინდელი ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ეპოქების მიხედვით იხვეწებოდა და მათგან ზოგიერთმა დღეს საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა (მაგ., იპოთეკა, დივიდენდი, კონფისკაცია, დეფიციტი, ინფლაცია, ობლიგაცია და სხვ.).

ეკონომიკის წარმოშობისა და კანონზომიერების შესახებ კვლევა პირველმა არისტოტელემ დაიწყო, რომელსაც ზოგჯერ პირველ ეკონომისტსაც კი უწოდებენ. არისტოტელემ დააყენა საკითხი, რომელიც მთავარ პრობლემად რჩებოდა ასწლეულების განმავლობაში – რა კრიტერიუმით ისაზღვრებოდა საქონლის გაცვლის პროპორციები

აგორა ათენში

და რა ქმნიდა საქონლის ღირებულებას? არისტოტელემ ჩაატარა კაპიტალის ანალიზი, რომელიც სავაჭრო და ფინანსურ კაპიტალად დაყო. იგი ცდილობდა გაერკვია „ჭეშმარიტი ღირებულების“ საკითხი. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურ და ეთიკურ საკითხებს არისტოტელე ცალ-ცალკე არ განიხილავდა ძველი რომაელებისაგან განსხვავებით. თანამედროვე ტერმინი ეკონომიკა მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „ოიკონომია“, რაც კერძო მეურნეობის – ოჯახის ანუ „ოიკოსის“ გაძღოლას ნიშნავდა და არა ეროვნული ეკონომიკისა. თავდაპირველად ეს ტერმინი ქსენოფონთან გვხვდება იმ თხზულების სათაურად, რომელიც საოჯახო მეურნეობის გაძღოლის წესებსა და მიწათმოქმედებას ეხება. თითოეული ბერძნული ოჯახი იდეოლოგიური და პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე ცდილობდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, გაეფართოვებინა და კიდევ

უფრო დაეწინაურებინა საოჯახო მეურნეობა, რაც მათი კეთილდღეობისა და გავლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი იყო.



სოღონი

იმ ფაქტს, რომ ბერძნებსა და ქართველ ტომებს შორის გარკვეული ურთიერთობა არსებობდა, ძველ კოლხეთში არგონავტების ლაშქრობაც ადასტურებს. გარდა მითებისა, ჰეროდოტემ არაერთი მნიშვნელოვანი ცნობა დაგვიტოვა ქართველი ტომების შესახებ. ადგილობრივ მოსახლეობას საკმაოდ მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბერძენთა ახალშენებთან. სტრაბონის გადმოცემით, მაშინ ხომალდები მდინარე რიონზე შორაპნის ციხემდე დადიოდნენ (XI, 3). ერთი კოლხური ციხე-სიმაგრე შორაპანზე და მასთან არსებულ ვიწროებზე მდებარეობდა, რომლებზეც ფასისი მოედინებოდა და კოლხეთისკენ აგრზელებდა გზას, მასზე 120 ხიდით შეიძლებოდა გადასვლა, რადგან გზა მიხვეულ-მოხვეული იყო (XI, 3, 4). ბერძენთა ახალშენებს კოლხეთში საზოგადოებრივად და კულტურულად საკმაოდ განვითარებული ტომები დახვდნენ და როგორც მოსულმა, ასევე დამხვდურმა ხალხებმა ურთიერთზე აშკარად დიდი გავლენა მოახდინეს. უფრო გვიან პომპეუსის ლაშქრობის შედეგად საქართველოში რომაელების გავლენა დამყარდა. ქართლის დამორჩილების შემდეგ პომპეუსი კოლხეთში გადავიდა, გზადაგზა დაიპყრო მდინარე რიონის სანაპირო ციხე-სიმაგრეები და ჩავიდა ქ. ფასისში. კოლხეთი რომის პროვინციის – ბითინიისა და პონტოს შემადგენლობაში მოექცა. ყოველივე ამან გარკვეულწილად განსაზღვრა ამ ქვეყნებს შორის სავაჭრო, ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური კავშირები. შევეცდებით მოკლედ წარმოვადგინოთ ეკონომიკის ის მნიშვნელოვანი მსგავსებები, რომლებიც ანტიკურ სამყაროს საქართველოსთან აკავშირებდა.

2) მიწა და მიწათმოქმედება. ბერძნები პატარა ქალაქ-სახელმწიფოებში – პოლისებში ცხოვრობდნენ, რომლებშიც საკუთარი მმართველობა და ტრადიციები ჰქონდათ. ძვ. წ. 750 წლისათვის საბერძნეთი რამდენიმე ასეულ პოლისად იყო დაყოფილი. თითოეული პოლისი საკუთრივ ქალაქისა და მიმდებარე მიწებისაგან შედგებოდა. პოლისის მოქალაქეობის ძირითადი კრიტერიუმი მიწის საკუთარი ნაკვეთის ფლობის უფლება იყო. მხოლოდ მიწათმფლობელს შეეძლო ყოფილიყო სრულუფლებიანი მოქალაქე და მხოლოდ მოქალაქე შეიძლებოდა ყოფილიყო მიწათმფლობელი. შესაბამისად, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ გარკვეული პოლისი დაყოფილი იყო მიწის ნაკვეთებად იმისდა მიხედვით, თუ რამდენი მოქალაქე ჰყავდა მას. ბერძენთა უმეტესობას ამა თუ იმ ტიპის გლეხობა შეადგენდა. გლეხი რამდენიმე ჰექტარ მიწას ამუშავებდა. ნაკვეთზე დათესილი იყო სხვადასხვა სახეობის მარცვლეული – უმთავრესად ქერი, ხორბალი და ქსეროფიტული კულტურები – ზეთისხილი, ყურძენი, ლეღვი. წვრილფეხა რქოსანი საქონელი, განსაკუთრებით კი ცხვარი და თხა, ბერძნული აგროკულტურის აუცილებელ შემავსებელ ნაწილს წარმოადგენდა. სანაპირო რაიონებში მეთევზეობას მისდევდნენ, თუმცა თევზი, გარკვეულწილად, ბერძენი გლეხის საკვებ რაციონში ფუფუნების პროდუქტად რჩებოდა „მედიტერანულ ტრიადასთან“ (მარცვლეული, ღვინო, ზეთისხილის ზეთი) შედარებით.



პერიკლე

პოლისების სასოფლო მეურნეობა და სხვადასხვა ფენის მდგომარეობა ეპოქების მიხედვით

ამფორა, გამოსახულია ზეთისხილის მოსავლის აღება

იცვლებოდა. ძვ. წ. VI საუკუნეში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა გლეხობა. მდიდარ ევპატრიდთა (წარჩინებულთა) უმეტესობა ფლობდა საგვარეულო მიწებს, რომლებსაც მონები და თავისუფალი გლეხები ამუშავებდნენ. გლეხებს მხოლოდ უმნიშვნელო ნაკვეთები ჰქონდათ, რის გამოც თითქმის აღარ შეეძლოთ საკუთარი ოჯახების გამოკვება. სოლონმა (ძვ. წ. 638-558 წწ.) გლეხებს ვალის გამო დაკარგული მიწები დაუბრუნა. სოლონის რეფორმას, ***სეისახთეიას,*** უკავშირდება აგრეთვე მიწისმფლობელობის მაქსიმუმის დაწესება და ზედმეტი ნაწილის კონფისკაცია. ეს რეფორმა იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ წვრილი მესაკუთრეები დაეცვა შეძლებული პირების მიერ მათი მამულების შესყიდვისაგან და ხელი შეეშალა მიწის საკუთრების რამდენიმე ადამიანის ხელში კონცენტრაციისათვის. სოლონის მიერ ქონებრივი ჯგუფების კლასებად დაყოფას საფუძვლად მიწის ცენზი დაედო. გარდა ამისა, გათვალისწინებული იყო საქონელი და შემოსავალი ფულით: 1 მედიმნი = 1 ცხვარს = 1 დრაქმას. პირდაპირი გადასახადებისაგან მოქალაქეები თავისუფალნი იყვნენ, რადგან როგორც საბერძნეთში, ასევე რომშიც თავისუფალი მოქალაქეების მიმართ ამგვარი მიდგომა უღირს ზომად ითვლებოდა. ქონებრივი ცენზის შემოღებით სოლონმა ე. წ. ტიმოკრატიული წყობა დაამყარა, რომელშიც წარმოშობის პრივილეგია – გენნეკრატია ქონებრივი და საზოგადოების სამსახურის პრივილეგიით – ტიმოკრატიით შეცვალა. პერიკლეს (ძვ. წ. 495-429 წწ.) რეფორმების თანახმად კი, ათენის კავშირში შემავალ სახელმწიფოებში უნდა დაარსებულიყო ათენური დასახლებები, სადაც ყოველ ათენელს შეეძლო მიეღო მიწის ნაკვეთი. ამ დასახლებებით ატიკის ფარგლებს გარეთ იქმნებოდა გარნიზონები და უბრალო ხალხს მდგომარეობა უმსუბუქდებოდა. სპარტასა და ათენს შორის ჰეგემონიისათვის ბრძოლის დროს ერთ ტალანტად ღირებული მიწა უკვე დიდ მამულად ითვლებოდა.

რომში სახელმწიფო მიწა – Ager Publicus – ნაკვეთებად იყიდებოდა რომის მოქალაქეებზე. დაუმუშავებელ მიწებს საძოვრებისათვის იყენებდნენ რომაელები და მისი გადაცემა დროებით სარგებლობაში მინიმალური დაბეგვრით ხდებოდა. რესპუბლიკის ხანაში პლებეები მუდმივად ითხოვდნენ მიწის გადაცემას იმის საფუძველზე, რომ ახალი მიწების დაპყრობა საკუთარი სისხლის ფასად უწევდათ. რომში მიწის გაყოფა-გაცემა პატრიციელთა და პლებეელთა შორის არსებული ხანგრძლივი დავის საგანი იყო ისევე, როგორც საბერძნეთში ევპატრიდებსა და გლეხებს შორის. სიტუაცია კანონთა განახლებას მოითხოვდა.

დიდი პლებეელი კანონშემოქმედი გაიუს ლიციინიუს სტოლონის (ძვ. წ. IV ს.) სახელს უკავშირდება ახალი ეტაპი მიწის რეფორმის საქმეში. ვფიქრობ, მან გაითვალისწინა სოლონის მიერ საბერძნეთში გატარებული რეფორმები, რომლებსაც ეფექტიანი შედეგი მოჰყვა და ლიციინიუსმაც ბერძენთა გამოცდილებით მიწის მაქსიმუმი დააწესა.

ატიკური თასი, გამოსახულია ყურძნის კრეფა

საზოგადოებრივი მიწებით სარგებლობის უფლება თანასწორად ენიჭებოდა როგორც პატრიციებს, ისე პლებეებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ აპიუს კლავდიუსმა მიწის ცენზი ფულადი ცენზით შეცვალა. ეს ფაქტი კი იმ დემოკრატიული ჯგუფების ინტერესებს შეესაბამებოდა, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ვაჭრობასთან, ხელოსნობასთან და საერთოდ სასაქონლო-ფულად მეურნეობასთან. გვიანანტიკურ ეპოქამდე მიწის არაერთი რეფორმა გატარდა, თუმცა ეს ეპოქა მნიშვნელოვანია იმით, რომ მიწათმოქმედებიდან მონური შრომა მთლიანად განდევნა პიროვნულად თავისუფალ არენდატორთა შრომამ. კეისართა კანონმდებლობით, ისინი მყარად დაუკავშირდნენ მიწის ნაკვეთებსა და სამეურნეო საქმიანობას.

ნითელფიგურიანი თასი თევზების გამოსახულებით

მიწათმოქმედი მოსახლეობის ძირითად ბირთვს ძველი ქართლის ისტორიის მთელ მანძილზე, როგორც ძველ საბერძნეთსა და რომში, თავისუფალი მიწათმოქმედნი ქმნიდნენ. სტრაბონის თანახმად, ამავე დროს ეს მიწათმოქმედნი მეომრებიც იყვნენ. ძველ ქართულ ენაში ერი როგორც ხალხს, ისე ჯარს აღნიშნავდა. „მკვიდრი“ თავისი სტატუსით შესაძლებელია შევადაროთ ბერძენ ევპატრიდებს. თავისი სოციალური მდგომარეობით მონა, მხევალი, გლახაკი, ტყვე, მწირი წარმოადგენდა ქართლის არათავისუფალ მოსახლეობას ისევე, როგორც ანტიკურ სამყაროში თეტები და პლებეები.

ძველ ქართულში ვხვდებით ტერმინებს, რომლებიც როგორც ქართლში, ისე მეზობელ ქვეყნებში აღნიშნავდა კერძო საკუთრებაში არსებულ მეურნეობას. მიწათმოქმედი მოსახლეობის ერთ-ერთ კატეგორიას ქართლში ლაოი (lao-iv) – „სამეფო მონები“ წარმოადგენდნენ, რომელთაც შესაძლოა ადგილობრივად „გლეხნი“ ეწოდებოდათ. ხოლო მიწა, რომელსაც ამუშავებდნენ, სტრაბონის ცნობით, იბერიაში განიხილებოდა „სამეფო მიწად“ ელინისტური აღმოსავლეთის ტერმინოლოგიის მიხედვით. ბიბლიის ძველქართულ თარგმანში „სოფელი“ გამოყენებულია ბერძნული „პერიხორას“ შესატყვისად. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, სოფელი უნდა ყოფილიყო ქართლის ტომების უძველეს ტერიტორიულ გაერთიანებათა სახელწოდება. ვინაიდან ქართლისათვის დამახასიათებელი იყო სატაძრო ტიპის თემების არსებობა, შესაძლებელია ტერმინ სოფელშიც ამგვარი თემების სახელწოდება დავინახოთ. ძველ ქართლში ამგვარი დიდი სატაძრო მამულების არსებობის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მოსხების ქვეყანაში ***ლევკოთეას*** მდიდარი ტაძრის

რომის ფორუმი

შესახებ სტრაბონთან დაცული ცნობების მიხედვით. გარდა მიწების ფლობისა, მათ მფლობელობაში ჰყავდათ „ჰიეროდულებიც“ – „სატაძრო მონებიც“. საყურადღებოა აგრეთვე ჰიეროდულების

აღსანიშნავად მისი სინონიმის „ჰიეროპაიდესის“ გამოყენება, რაც შესაძლებელია საქართველოს ბარში ფეოდალურ ხანაში დამოწმებულ „საყდრის შვილისა“ თუ „ხატის შვილის“ ინსტიტუტს

ოქროსფერი თეთრი

უკავშირდებოდეს. სატაძრო გაერთიანებებში არსებული მიწები შესაძლებელი იყო გაეცათ ნადელებად გარკვეული პირობით. რომშიც სახელმწიფო მიწის გარკვეული ნაწილი ტაძრებსა და ქურუმთა კოლეგიებს გადაეცემოდათ როგორც საკუთრებაში, ასევე დროებით სარგებლობაში. ამ მიწის ნაკვეთს agri consecrati ეწოდებოდა.

სათემო და სატაძრო მიწის მფლობელობის, აგრეთვე სამეფო მიწათმფლობელობის გვერდით ძველ ქართლში არსებობდა მსხვილი კერძო მიწათმფლობელობაც. ეს იყო ძირითადად სამეფო საგვარეულოსა და სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატიის წარმომადგენელთა მიწის ნაკვეთები, რომლებიც მათ მიცემული ჰქონდათ სამსახურის გასამრჯელოდ სათემო ან სამეფო მიწის ფონდიდან. მიწის ამავე კატეგორიას ქმნიდა ყიდვა-გაყიდვის შედეგად მოპოვებული მიწის ნაკვეთებიც. კერძო საკუთრება მიწაზე თავდაპირველად ბაღ-ვენახებზე გაჩნდა და შემდეგ სახნავ-სათეს მიწებზეც გავრცელდა. რომში იმ მიწის ნაკვეთს, რომელსაც ყიდულობდა კერძო მესაკუთრე სახელმწიფოსაგან Ager privates ეწოდებოდა. ეს მიწა შეძენის შემდეგ მესაკუთრის ხელში სამუდამოდ რჩებოდა. ერთ-ერთ უძველეს ქართულ დოკუმენტში შემწირველმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ სალოცავისადმი „ნასყიდევ“ მიწას წირავდა, ვინაიდან შეწირვის ასეთი ფორმა მომავალში გაუგებრობებისაგან და მათ შორის, „გამოწირვისაგან“ იყო დაზღვეული. კერძო, სამფლობელო, მიწის მნიშვნელობით იხმარებოდა აგრეთვე „მამული“, რომელიც მამისაგან მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ საკუთრებას აღნიშნავდა. რომში ასეთ მიწას Ager genticius ეწოდებოდა, რომელიც საბოლოოდ საგვარეულო მიწის მნიშვნელობით დამკვიდრდა. თუმცა საქართველოში მამისეული უძრავი ქონება თავისი წარმოშობით შეიძლებოდა სხვადასხვაგვარი ყოფილიყო: მკვიდრი, ნასყიდი, „ნაშოები“, მონაგები, ნაწყალობევი, ნამზითვი, სამსახურის სანაცვლოდ გაცემული და სხვ. ანტიკური ხანის აგარაკმა სახე იცვალა და ის ფეოდალურ მამულს შეერწყა. უნდა აღინიშნოს, რომ სამეფო სახლი სახელმწიფოს მთელი მიწების უზენაეს მესაკუთრედ გამოდიოდა, რაც სხვადასხვა ფორმით იყო შეზღუდული. ანტიკურ საბერძნეთსა და რომშიც, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა მიწის კერძო მესაკუთრეობა, სახელმწიფოს ნებისმიერ დროს ჰქონდა მისი უკან გამოთხოვის უფლება.

პირობითი მიწისმფლობელობა საქართველოში სამსახურთან (ძირითადად სამხედრო სამსახურთან)

ქართული ფული

იყო დაკავშირებული. მიწების პირობით გაცემა, თავის მხრივ, უკავშირდება ფეოდალური წყალობის ინსტიტუტს. წყალობა-შეწყალება როგორც ფეოდალური ინსტიტუტი, რომელიც ევროპული

ფეოდალური სინამდვილის კომენდაციასა და ბენეფიციუმს უკავშირდება, საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის ადრეულ საფეხურზევე ჩანს, ხოლო IX-X სს-ში შეწყალება და წყალობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

3) ვაჭრობა. სოფლის მეურნეობის განვითარება სხვადასხვა სახის ეკონომიკურ გაცვლას მოითხოვდა, თუმცა სავაჭრო ურთიერთობები თავდაპირველად, როგორც წესი, მეზობლებს ან ერთობის წევრთა შორის იმავე ქალაქის ბაზარში წარმოებდა. აგორაზე ჰომეროსის ეპოქაში რელიგიური კულტმსახურება თუ სახალხო კრებები იმართებოდა და ბასილევსების მიერ სამართალი განისჯებოდა. ძვ. წ. V საუკუნიდან აგორა თანდათანობით პროპილეებიანი კოლონადით გარშემორტყმული სიმეტრიული მოედანი გახდა. იგი სავაჭრო გარიგებების ადგილსა და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. ვაჭრობისა და წარმოების განვითარებასთან ერთად პოლისი და წარჩინებული გვარების მიმდებარე მოსახლეობა მალე გარემოცულ იქნა სახელოსნო და სავაჭრო უბნებით. ბერძნული პოლისის ეკონომიკა თავისი სტრუქტურით საკმაოდ განსხვავდებოდა ძველაღმოსავლური და აქეური ეკონომიკისაგან. იგი გამოირჩეოდა თავისი დინამიზმით, სახელოსნო წარმოების მოცულობითა და კერძო მეურნეობის სიჭარბით. **აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო, ფაქტობრივად, არ ერეოდა სამეურნეო ურთიერთობებში, რამაც კლასიკურ ხანაში ბერძნული დემოკრატია (ძვ. წ. V-IV სს.) განვითარების მაღალ საფეხურზე აიყვანა.** პოლისმა მკვეთრად გამიჯნა საზოგადო და პრივატული სივრცეები, რასაც მოჰყვა კერძო და საზოგადო ქონების სუბორდინაცია. ბერძნული პოლისი, როგორც დამოუკიდებელი პატარა ქალაქ-სახელმწიფო თავისი სპეციფიკური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურით უზრუნველყოფდა წარმოების სწრაფ განვითარებას. თუ ადრე საბერძნეთში რკინისა და სპილენძის მაღაროების დამუშავება ადგილობრივად არ წარმოებდა და ამ ლითონების საჭირო ნატეხებს ბერძნები უცხოელი ვაჭრებისაგან იძენდნენ, მოგვიანებით უკვე რკინის მაღაროები მრავალ ადგილას გაჩნდა. ცნობილია, რომ ათენის სახელმწიფოს ეკუთვნოდა ლავრეიონის ვერცხლის მაღაროები. ლითონის დამუშავებას ნაწილობრივ თვითონ სახელმწიფო აწარმოებდა და ნაწილობრივ იჯარით გასცემდა. რომშიც სახელმწიფო მაღაროები განსაზღვრულ თანხად იჯარით გადაეცემოდათ. ლითონების გადასამუშავებელი სახელოსნოებიდან საკმაოდ მნიშვნელოვანი შემოსავალი შედიოდა ხაზინაში. პასიონს ძვ. წ. IV ს-ში 1 ტალანტად იჯარით გაუცია ფარების სახელოსნო, რომელიც წლიურ შემოსავალს – 100 მინას იძლეოდა. გაიხსნა ისეთი საფეიქრო სახელოსნოები, რომლებიც გასაყიდად ამზადებდნენ ნაირფერად შეღებილ ქსოვილებს. საფეიქრო წარმოება მეცხვარეობის ფართო განვითარებას მოითხოვდა. მილეტმა მართლაც გაითქვა სახელი თავისი მაღალხარისხიანი ნაზი მატყლით. სელის ნაზი ქსოვილებით კი განთქმული იყო კუნძული ამორა.

იასონი და ოქროს საწმისი

კერამიკულმა წარმოებამ ათენის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ამას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ ქალაქის სახელოსნო ნაწილს კერამიკოსი ეწოდებოდა. ძვ. წ. VI საუკუნისათვის არსებობდა მსხვილი კერამიკული სახელოსნოები, რომლებშიც ძირითადად მონები იყვნენ დასაქმებულნი. თიხის ჭურჭლის მოხატულობა საკმაოდ ვრცლად გვისურათებს კერამიკულ სახელოსნოებში მუშაობის პროცესს.

სავაჭრო გაცვლა წარმოებდა ან იმავე სახის საქონლის ბარტერით ანდა ფულადი ერთეულის საშუალებით. ათენს ჰქონდა თითქმის უნიკალური საშუალება ამგვარი იმპორტის საფასური ვერცხლით გადაეხადა. ძვ. წ. V საუკუნისათვის ათენი გახდა მთავარი სავაჭრო ცენტრი ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაპირებს შორის,

ოქროს ყელსაბამი კუს კუღონებით (ვანი)

მდიდარი ქალაქი, სადაც, ისოკრატეს თქმით, ყველაფრის შოვნა შეიძლებოდა, ხოლო ნავსადგურ პირეუსში ყოველი მხრიდან იყრიდნენ თავს გემები. ყოველ შემოტანილ და გატანილ საქონელზე პირეუსის ნავსადგურში ახდევინებდნენ ბაჟს, რომელიც საქონლის ღირებულების 1/50-ს უდრიდა.

აქვე უნდა აღინიშნოს სოლონის რეფორმები ვაჭრობისა და ხელოსნობის საქმეში. თითოეული მოქალაქე, რომელსაც შემოსავლის სხვა წყარო არ გააჩნდა, ვალდებული იყო თავისი შვილებისათვის ესწავლებინა რაიმე ხელობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას უფლება არ ჰქონდა მოეთხოვა მათგან მოვლა-პატრონობა მოხუცებულობისას. არსებობს ცნობა, რომ, რადგანაც ატიკა ნაკლებად მოსავლიანი იყო, სოლონმა აკრძალა პურისა და საერთოდ სანოვაგის გატანა მისი საზღვრებიდან. თუმცა ეს აკრძალვა არ ვრცელდებოდა ზეთისხილზე. ზეთისხილის ექსპორტი ატიკაში ოფიციალურად უკვე ძვ. წ. 600 წ-დან იწყება. ადგილობრივი პური კონკურენციას ვერ უწევდა იმ იაფ ხორბლეულს, რომელსაც უხვად ეზიდებოდნენ სიცილიიდან, ეგვიპტიდან და ჩრდ. შავიზღვისპირეთიდან. მიწის დამუშავების შემცირებასთან ერთად ფართოვდებოდა სხვადასხვა სასარგებლო მცენარის კულტურები, რომელთაც უფრო ნაყოფიერად შეეძლოთ აენაზღაურებინათ გაწეული შრომა. ეს მცენარეები იყო ზეთისხილისა და ლეღვის ხეები და ვენახები.

პერიკლეს ხანაში ათენი ფლობდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ხორბლეულის ექსპორტს, განსაზღვრავდა მის განაწილებას მოკავშირეთა შორის და სრული საშუალება ჰქონდა ყოველ ურჩ მოკავშირეს მისი მიწოდების აკრძალვით დამუქრებოდა. პურის ტრანსპორტის მეთვალყურეობა დაკისრებული ჰქონდა „ჰელესპონტის მცველებს“. ათენი ტრანზიტის ფართო ბაზრად იქცა. თუმცა ის არა მარტო ტრანზიტის ადგილი გახდა, არამედ თავადაც ქმნიდა სხვადასხვა პროდუქციას ექსპორტისათვის. ათენსა და მილეტში ვაჭრობა გარკვეულ ადგილებში – სავაჭრო რიგებში მიმდინარეობდა. ბაზრებში მუდმივად ხმაური იყო. წვრილ მოვაჭრეთა შორის იყვნენ არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც, რომლებიც ხმამაღლა მოუწოდებდნენ გამვლელებს ეყიდათ ზეთი, ღვინო, ძმარი, ღორის ხორცი, პური და ა. შ. არისტოფანემ თავის კომედიებში კარგად შემოგვინახა მაშინდელი ათენის ბაზრის სურათები.

არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი ბერძნული და აღმოსავლური წარმოების ნივთები ადასტურებს რომის სავაჭრო კავშირ-ურთიერთობას სამხეთ იტალიურ საბერძნეთთან, ეტრურიასა და კართაგენთან. რომში მთავარი ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე რომაული ფორუმიც, ელინისტური ქალაქების საბაზრო მოედნების მსგავსად წარმოადგენდა ტაძრებით, საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებით, შადრევნებით, ორატორების ტრიბუნებით, ქანდაკებებითა და პორტიკებით შემკულ მოედანს. ტრადიციის თანახმად, ნუმა პომპილიუსის დროს რომში უკვე არსებობდა ხელოსანთა კავშირები – კოლეგია (collegia). ყოველ მეცხრე (nundinae) დღეს სოფლის მცხოვრებნი მოდიოდნენ ქალაქში ბაზრობებზე, რელიგიურ დღესასწაულებსა და საერთო შეკრებებზე. რომისა და მის მეზობლად არსებულ ლაციუმის ქალაქების ეკონომიურ განვითარებას ძვ. წ. VII-VI სს-ში ადასტურებს სარწყავი არხების ნაშთები, გვირაბები, აკლდამები, შენობები და ა. შ. რომის მეხუთე მეფეს, ტარკვინიუსს, რომლის დროსაც აიგო კლოაკა მაქსიმა (cloaca maxima – კანალიზაციის

ოქროს ბეჭედი მჯდომარე ქალითა და ბერძნული წარწერით (ვანი)

სისტემა ძველ რომში), საბაზრო მოედნის (macellum) გამართვაც მიეწერება.

რომაელ ვაჭრებს შორის გამორჩეული ადგილი ეჭირა რაბირიუს პოსტუმს, რომელსაც საკუთარი სავაჭრო გემები ჰყავდა. ციცერონის გადმოცემით, რაბირიუსის გემები სავსე იყო სელის, შუშისა და ბამბეულის ნაწარმით. გემები პუტეოლის ნავსადგურში იდგა.

ქართლის მჭიდროდ ჩაბმას საერთაშორისო ვაჭრობაში ნუმიზმატიკური მასალაც ადასტურებს. ახ. წ. I-III სს-ის ქართლის ტერიტორიაზე მრავლადაა აღმოჩენილი იმ დროის საერთაშორისო ვაჭრობაში ფართოდ გამოყენებული უცხოური მონეტები. ქართლში იჭრებოდა ამ ფულის მინაბაძებიც – რომაული და პართული მონეტების – ავგუსტუსის დინარებისა და გოტარზის დრაქმების მინაბაძები, აღმოჩენილია იმპორტული საქონელიც, უმთავრესად ფუფუნების საგნები.

აღმოსავლეთს (ჩინეთი, ინდოეთი, შუა აზია) დასავლეთთან (ევროპა) საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო გზა აკავშირებდა, რომლის საკვანძო პუნქტს ქართლის (იბერიის) დედაქალაქი მცხეთა წარმოადგენდა. ეკონომიკურ დაწინაურებაზე გზებისა და ხიდების სიმრავლე მიუთითებს. კეთილმოწყობილი გზები, ხიდები ხელს უწყობდა საქართველოს ცალკეული რაიონების ერთმანეთთან დაახლოებას და საშინაო თუ საგარეო სავაჭრო ურთიერთობების განმტკიცებას. სტრაბონის თანახმად, დიოსკურიაში 70 ტომი იყრიდა თავს, ხოლო ფასისი წარმოადგენდა „კოლხთა სავაჭრო ადგილს“. ანტიკური სამყაროს ცენტრებიდან კოლხეთში შემოდიოდა მაღალი ხარისხის ღვინო, სხვადასხვა ხელოსნური ნაწარმი, ზეითუნის ზეთი და სხვ. სტრაბონი სოანების (სვანების) დახასიათებისას აღნიშნავს, რომ ზამთრის ნიაღვრებს ოქრო ჩამოაქვს, რომელსაც ბარბაროსები დახვრეტილი ვარცლებითა და ბანჯგვლიანი ტყავებით აგროვებენ და აქედან წარმოიშვა მითი ოქროს საწმისის შესახებო (XI, 2, 19). ბერძენი ისტორიკოსების თანახმად, ძვ. წ. VI საუკუნიდან კოლხეთში იჭრებოდა მონეტა, ე. წ. „კოლხური თეთრი“. ვარაუდობენ, რომ კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებში ხდებოდა ბერძენ და კოლხ ხელოსანთა საწარმოო თანამშრომლობა, რაც კოლხური ხელოსნობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა ყოფილიყო. ათენში ნაპოვნია თასი, რომელიც ძვ. წ. 540 წლით თარიღდება. მასზე შერჩენილია ბერძნული წარწერა: „კოლხმა მე გამაკეთა“. ბერლინის მუზეუმში დაცულია აგრეთვე ათენში ნაპოვნი ამფორა ბერძნული წარწერით „ევქსითეოსმა გამაკეთა, კოლხმა მომხატა“, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოსა და ანტიკური სამყაროს მჭიდრო ურთიერთობას.

ოქროს სამკაული (ვანი)

სავაჭრო სივრცის გაფართოებასთან ერთად ძველ საბერძნეთში, რომსა და საქართველოშიც მდიდრდებოდა როგორც კერძო პირი, ასევე სახელმწიფოც, რადგან იხვეწებოდა საბაჟო და საგადასახადო სისტემები. ყოველივე ამას თან ახლდა სახელმწიფო ხაზინის გამდიდრება, ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერება და ამონაგები თანხების ინვესტირება სამრეწველო თუ სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში. მიუხედავად განსხვავებული მასშტაბებისა და ეპოქისა, სამივე ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას ერთი საერთო ტენდენცია განაპირობებდა – რაც უფრო დემოკრატიული და დამოუკიდებელი იყო სახელმწიფოს მხრიდან კერძო მეურნეობა და დაცული მისი საკუთრების უფლებები, მით უფრო ვითარდებოდა ქვეყანაში ეკონომიკური სტრუქტურები. ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში თავდაპირველად ძველი ბერძნები შეეცადნენ მოექციათ დემოკრატიული წყობის ჩარჩოებში ეკონომიკური ინსტიტუციები, რომელთა განვითარებას დღესაც ცდილობს ცივილიზებული კაცობრიობა.

დასასრული შემდეგ ნომერში

ძილი და სიზმარი

ავტორი: სუღხან ცაგარელი

XX საუკუნის მეორე ნახევარში ბიოლოგიას გამოეყო ახალი მიმართულება ბიორიტმოლოგია, რომელიც იკვლევს განმეორებით ბიოლოგიურ პროცესებს. ცოცხალ ორგანიზმთა თითქმის ყველა ფუნქცია რიტმულად არის ორგანიზებული. არსებობს წლიური, სეზონური და დღეღამური რიტმები. ცხოველებში კარგად არის შესწავლილი მთვარის ციკლსა და ზღვის მიქცევა-მოქცევაზე დამოკიდებული რიტმული ცვლილებები. ბიოლოგიური ანუ ცირკადული რიტმი ცოცხალი სისტემის ორგანიზაციის უჯრედულ, ორგანოთა, ორგანიზმულ და პოპულაციურ დონეებზე ვლინდება. ადამიანს გააჩნია 100-მდე ფიზიოლოგიური ფუნქცია, რომლებიც დღეღამური რიტმით მოქმედებს. რიტმულობა განპირობებულია ამგზნებ და შემაკავებელ სიგნალთა მოქმედებით, რომლებიც რეგულირდება ნერვული და ჰუმორული სისტემებით. რიტმის დარღვევა დისფუნქციის მაჩვენებელია.

დიდ ინტერესს იწვევს ადამიანსა და უმაღლეს ცხოველებში ძილ-ღვიძილის მოვლენა. ძილს გააჩნია ორი ობიექტური ასპექტი: პროფილი და სტრუქტურა. პოფილში იგულისხმება დროითი კავშირი ძილსა და სიფხიზლეს შორის, რომელიც დგინდება დღეღამური ციკლის 24 საათიდან. სტრუქტურაში იგულისხმება მხოლოდ ძილის სხვადასხვა სტადია, რომლებიც ვლინდება ელექტროენცეფალოგრაფიულ ჩანაწერებში და წარმოდგენას გვიქმნის ძილის დინამიკის შესახებ.

ძილი ადამიანის სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია. იგი არის ორგანიზმის განსაკუთრებული მდგომარეობა. ეკოლოგიური ფაქტორებიდან, რომლებიც ძილ-ღვიძილის რიტმზე მოქმედებს, ყველაზე მნიშვნელოვანი არის განათების ინტენსივობა. ძილი რეგულარულად განმეორებადი სადღეღამისო რიტმული მოვლენაა, რომლის პერიოდიც 20-დან 28 საათამდე მერყეობს. სამოცი წლის ადამიანს საშუალოდ ოცი წელი ძილში, ხოლო ექვსი წელი სიზმრებში აქვს გატარებული. ძილი ცხოველთა დიდ ნაწილსაც ახასიათებს, კერძოდ, იძინებენ მწერები, თევზები, ქვეწარმავლები, ფრინველები, წყალში და ხმელეთზე მობინადრე ძუძუმწოვრები.

ჯანმრთელ ადამიანს საშუალოდ 7-8 საათი სძინავს. აღწერილია შემთხვევები, როდესაც მას 3-5 საათი სძინავს და არიან ისეთებიც, რომლებიც ძილში 18 საათს ატარებენ. თავისებური ძილი ჰქონია ლეონარდო და ვინჩის. თურმე მას ძილის სადღეღამისო რიტმიდან ყოველი ოთხი საათის სიფხიზლის შემდეგ 15 წუთი ეძინა. ამით მან 75%-ით გაზარდა სიფხიზლის დრო. გამოდის, რომ ლეონარდო და ვინჩის უცხოვრია არა 70, არამედ – 100 წელი.

ლეონარდო და ვინჩი

ადამიანის მსგავსად ცხოველებიც სხვადასხვა ხანგრძლივობით იძინებენ. ცხოველებიდან ცენტრალურ ამერიკაში ბინადარ ორთითა ზარმაცას 20 საათი სძინავს. ღამურას დღისით სძინავს, ღამით კი აქტიურია, ზამთარში ძილქუშს (ზამთრის ძილს) ეძლევა. ზღვის ძუძუმწოვრები (ვეშაპი, დელფინი და სხვ.) თუ დაიძინებენ, შეიძლება წყალში ჩაიძირონ და გაიგუდონ. ამიტომ მათ ჩამოუყალიბდათ შეგუებითი ხასიათის ძილი. იძინებს ერთი ჰემისფერო, მეორე კი აქტიურია. ხდება ჰემისფეროთა აქტიურობის მორიგეობითი ცვლა. ანალოგიური ძილი აღენიშნება

ზოგიერთ ფრინველსაც. მტრის მოახლოება რომ არ გამოეპაროთ, ერთ თვალი ღია აქვთ, მეორე კი – დახუჭული. ზღვის ძუძუმწოვრების მსგავსად, ფრინველებშიც თავის ტვინის ჰემისფეროები მორიგეობით იძინებენ. ზოგიერთი თევზი მძინარე დაცურავს.

ღამურა

დელფინი

ჩვენი პლანეტის მოსახლეობის უმრავლესობა იცავს დღეღამურ ციკლს, თვითონ იქმნის ყოველდღიური ცხოვრების კულტურულ რეჟიმს – როდის სად წავიდეს, რა გააკეთოს და როდის დაბრუნდეს სახლში დასაძინებლად. საინტერესოა, რა მოუვა ადამიანის ცირკადულ რიტმს, როდესაც იგი არ შეხედავს საათს და არ მიიღებს მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ადამიანთა თანხმობით მათზე ექსპერიმენტი ჩატარდა.

ცდის პირი ორი თვით ამყოფეს მღვიმეში ისე, რომ დროის შესახებ არაფერი იცოდა. მისი ცირკადული რიტმი შეიცვალა – ჯერ გაიზარდა, შემდეგ კი დაიკლო; მეორე ადამიანმა 127 დღე გამოუსვლელად მღვიმეში გაატარა. მას ცირკადული რიტმი აერია – თავდაპირველად 19-საათიანი გაუხდა, აქედან 10 საათი ფხიზლობდა, 9 საათი ეძინა. მოგვიანებით ციკლი 53-საათიანი გახდა – ეძინა 35 და ფხიზლობდა 18 საათი. ცდის დამთავრების დროს ცირკადული რიტმი 25-საათიანი გაუხდა. საინტერესოა არქტიკაში მცხოვრებ ესკიმოსთა ძილ-ღვიძილის ციკლი. არქტიკაში ზამთარში სულ ბნელა, ზაფხულში სულ სინათლეა. მოსახლეობა მუდამ ინარჩუნებს ძილ-ღვიძილის ციკლს. ძილ-ღვიძილის ციკლზე დიდ გავლენას ახდენს ღამის ცვლაში მუშაობა და თვითმფრინავით დიდ მანძილზე გადაადგილება.

ძილი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, არის ორგანიზმის რეგულარულად განმეორებადი მდგომარეობა, რომლის დროსაც ადამიანის თავის ტვინი აგრძელებს სპეციფიკურ მოქმედებას და ვერ ახერხებს გარემოს რეალობის აღქმას. ძილის დროს ორგანიზმის მრავალი ფუნქცია დაქვეითებულია – შენელებულია ნივთიერებათა ცვლა, შემცირებულია გულის შეკუმშვათა სიხშირე, დაქვეითებულია ორგანიზმის კუნთური ტონუსი, გაიშვიათებულია სუნთქვა, შენელებულია სიმპათიკური ნერვული სისტემის მოქმედება და დაწეულია სხეულის ტემპერატურა.

ნორმალური გონებრივი მუშაობისათვის ძილი აუცილებელია. ხანგრძლივი უძილობა იწვევს ზოგადი ხასიათის ფსიქიკურ აშლილობას. ასეთ ადამიანებს დაქვეითებული აქვთ შრომისუნარიანობა და ვერ წყვეტენ წამოჭრილ ამოცანებს, გამოირჩევიან მოჭარბებული აღგზნებადობით, რასაც ხშირ შემთხვევაში არანორმალური ქცევები მოსდევს.

ძილს დიდი მნიშვნელობა აქვს ცოცხალი ორგანიზმებისათვის. ადამიანს შეუძლია დიდხანს გაძლოს საკვების გარეშე, მაგრამ უძილოდ ძალიან მალე იღუპება. ცხოველებზე ჩატარებული ცდებით დადგინდა, რომ ძაღლს შეუძლია შიმშილს 25 დღის განმავლობაში გაუძლოს, ხელოვნურად გამოწვეული უძილობისას კი ცხოველი 5 დღეში იღუპება.

ძილის ბუნების გასარკვევად ფიზიოლოგები ფართოდ იყენებენ სპეციალურ ხელსაწყოს, რომელსაც ელექტროენცეფალოგრაფი ეწოდება. მისი გამოყენებით აფიქსირებენ თავის ტვინის ელექტრულ მოვლენებს, რომლებიც აღმოცენდება ნეირონებში. ამ ხელსაწყოს საშუალებით დადგინდა, რომ სიფხიზლის დროს თავის ტვინის ელექტრული სურათი განსხვავდება ძილის ელექტრული სურათისგან (იხ. სურათი 4).



ძილის ფაზები

სიფხიზლისათვის დამახასიათებელია დაბალი ამპლიტუდის ხშირი, ძილისათვის კი მაღალი ამპლიტუდის ნელი რხევები. ექსპერიმენტატორს შეუძლია სხვა ოთახში მყოფი ადამიანის თავის კანზე მოთავსებული ენცეფალოგრაფთან მიერთებული ელექტროდების მეშვეობით შეუცდომლად განსაზღვროს, სძინავს ცდის პირს თუ ფხიზლობს (იხ. სურათი 5).

ელექტროენცეფალოგრაფიული ჩანაწერების ანალიზის შედეგად მკვლევრებმა დაადგინეს მეტად საინტერესო ფაქტი: როცა ცდის პირს სძინავს, პერიოდულად გამოჩნდება სიფხიზლისათვის დამახასიათებელი დაბალი ამპლიტუდის ხშირი რხევები თვალის სწრაფი მოძრაობით. თუ ადამიანს ასეთი სურათის ფონზე გავაღვიძებთ, სიზმარს მოგიყვებათ, ამიტომ ძილი დაყვეს ორ პერიოდად: ერთს ეწოდება სწრაფი (REM), მეორეს კი – ნელი ძილი (NREM). ნელი ძილისათვის დამახასიათებელია მაღალი ამპლიტუდის ნელი რხევები, ხოლო სწრაფი ძილისათვის – დაბალი ამპლიტუდის ხშირი რხევები (იხ. სურათი 5). სწრაფი ძილის პერიოდში ადამიანი ხედავს სიზმარს, ხოლო ნელი ძილის დროს – არა. ნელი ძილის ფონზე სწრაფი ძილი სხვადასხვა ხანგრძლივობითა და პერიოდულობით მეორდება. იგი უფრო ხშირად ჩნდება გამთენიისას. სწრაფი ძილის ჯამური ხანგრძლივობა მთელი ძილის ერთი მესამედია, ე. ი. ადამიანს სულ ექვსი საათი სძინავს.



ნელი და ჩქარი ძილის ელექტროენცეფალოგრაფიული სურათი

გაცნობიერებულ სიზმრად ითვლება იმგვარი სიზმარი, როდესაც პიროვნება სიზმრის განმავლობაში დარწმუნებულია, რომ ეს სიზმარია. ლაბორატორიულად გამოკვლეული ასეთი ადამიანების 50% ირწმუნება, რომ გაცნობიერებულ სიზმარს ხედავს, 20% კი ამბობს, რომ საკმაოდ ხშირად აქვს მსგავსი სიზმრები. ტიპური გაცნობიერებული სიზმარი იწყება მაშინ, როდესაც რაიმე უცნაური ხდება და სიზმრის მნახველს ეჭვი უჩნდება. მაგალითად, როგორ ავიდა შენობის სახურავზე და იქ დახვდა ბებია, რომელიც გარდაცვლილია. ეს ეჭვი ჩნდება ხოლმე ნაცვლად იმისა, რომ დასაშვები იყოს უცნაურობა, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე სიზმრებში. გაცნობიერებული სიზმრის დროს მნახველი აცნობიერებს, რომ ეს არ შეიძლება რეალობა იყოს. ამ გაცნობიერებასთან ერთად ყველაფერი იცვლება, სიზმარი მკაფიო ხდება, სიზმრის მნახველი მეტად გრძნობს თავს ისე, თითქოს ფხიზელი იყოს და შეიძლება გააკონტროლოს კიდეც საკუთარი სიზმარი, ამ დროს ადამიანი იწყებს ფრენას და ერთობა. გაცნობიერებული სიზმრები იშვიათადაა ხანგრძლივი, უმრავლესობა ძალიან სწრაფად ისევ ჩვეულებრივი სიზმრის გაურკვევლობაში გადადის.

გაცნობიერებულ სიზმარში მყოფი ადამიანის თავის ტვინის სკანირება აჩვენებს, რომ ეს მოვლენა რეალურია. ჩქარი ძილის ფაზაში

პრეფრონტალური ქერქის დორსოლატერალური ნაწილი გააქტიურებულია, ხოლო ჩვეულებრივ სიზმარში ის არ აქტიურობს. ამით მტკიცდება ის, რომ ადამიანი იმყოფება ნაწილობრივ ცნობიერებაში. რაც უფრო ძლიერდება გაცნობიერებული სიზმარი, მით უფრო იმატებს პრეფრონტალური ქერქის დორსოლატერალური უბნის ელექტრული აქტივობა. ვინაიდან პრეფრონტალური ქერქის დორსოლატერალური უბანი ითვლება ცნობიერების მარეგულირებლად, სრულიად რეალურია, ადამიანმა



თავის ტვინის აგებულება და ჰიპოკამპუსის განივი ჭრილი. ნაჩვენებია ტვინის ზოგიერთი სტრუქტურა, რომლებიც მონაწილეობს სიზმრის წარმოშობაში

აღიქვას საკუთარი მდგომარეობა (იხ. სურათი 6).

2011 წელს მაქს პლანკის ინსტიტუტში მიუნხენსა და ლაიფციგში პირველად გამოიყენეს მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიული აპარატი მძინარე ადამიანთან კავშირისათვის. ცდის პირებს აფრთხილებენ, რომ სიზმრის დაწყებიდან პირველ ათ წამში მოკუმშონ ჯერ მარცხენა ხელის მუჭი, შემდეგ – კი მარჯვენა ხელისა. მითითება შესრულდა. ცდის პირები მითითებას ასრულებდნენ თვალის გახელის დროსაც.

ამრიგად, დამტკიცდა, რომ გაცნობიერებულ სიზმარში ადამიანი პასიური მაყურებელი არ არის. სხვადასხვა ქცევის შესასრულებლად მას შეუძლია სიზმარში ჩართოს თავის ტვინის საკუთარი სურვილით გააქტივებული სტრუქტურები.

ადამიანი ყოველ ღამე ხედავს სიზმარს. ის ორ საათს სიზმარში ატარებს. ხშირად გაგიგიათ ან თავად განგიცდიათ – „სიზმარი არ მინახავს“, ეს იმიტომ ხდება, რომ ნელი ძილის დროს გაიღვიძეთ, მაგრამ თუ სწრაფი ძილის დროს გაიღვიძებთ, სიზმარი გემახსოვრებათ.

ფსიქიკური პროცესების მიხედვით ადამიანი ძილის დროს ორგვარ მდგომარეობაში იმყოფება – ნელი ძილის დროს ფსიქიკური მოვლენები არ აღინიშნება, ხოლო სწრაფი ძილის დროს სიზმარში თავს იჩენს ფსიქიკური მოვლენები. სიზმრის დროს გეჩვენება, რომ სიზმრისეული წარმოდგენები რეალობაა.

უძველეს წერილობით წყაროებში მოხსენიებულია სიზმრები, რომელთა სიმბოლური შინაარსი შემდგომში განვითარებული პოლიტიკური, საზოგადოებრივი და სხვა სახის საეტაპო მნიშვნელობის ცვლილებების წინასწარმეტყველებას წარმოადგენს. ბიბლიიდან შეიძლება დავასახელოთ იაკობისა და ფარაონის სიზმრები, ხოლო ქართლის ცხოვრებიდან – ფარნავაზისა და წმინდა ნინოს სიზმრები. საინტერესო სიზმარია დამოწმებული 312 წელს – რომის იმპერატორი კონსტანტინე დაუპირისპირდა მტრის ორჯერ უფრო მრავალრიცხოვან ჯარს. იგი დარწმუნებული იყო, რომ მეორე დღეს ომს წააგებდა და დაიღუპებოდა. მას სიზმარში გამოეცხადა ანგელოზი ჯვრით და უთხრა: „ამით გაიმარჯვებ!“. კონსტანტინემ უბრძანა მეომრებს ფარებზე გამოესახათ ჯვარი.

კონსტანტინე დიდის მარმარილოს ბიუსტი

ასრულდა სიზმარი, კონსტანტინემ სძლია მტერს და გაიმარჯვა. მან რომის იმპერიაში ქრისტიანობა ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

გამოჩენილი მკვლევარი სუზან ბლეკმორი აღწერს ცნობილი ფრანგი ექიმის ალფრედ მორისის (1817-1892) შემთხვევას, რომელსაც ესიზმრა, თითქოს საფრანგეთის რევოლუციის დროს გილიოტინაზე მიათრევდნენ, ამ მომენტში გამოეღვიძა და მიხვდა, რომ კისერზე საწოლის თავი დასცემოდა.

ცნობილია მრავალი ისეთი შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ მეცნიერის სიზმარმა სტიმული მისცა ახალ აღმოჩენას (ცხადია, ასეთ სიზმარს განაპირობებდა ის, რომ მეცნიერის ტვინი მთლიანად იყო ფოკუსირებული კონკრეტული სამეცნიერო პრობლემის გადაჭრაზე). ალბერტ აინშტაინმა სიზმარში დაამყარა ურთიერთკავშირი სივრცესა და დროს შორის, ნილს ბორმა წამოაყენა ატომის აგებულების მოდელი; 1865 წელს ავგუსტ კეკულემ სიზმარში ნახა ბენზოლის ფორმულა, რომელშიც წყალბადის ატომები ერთმანეთს წრიულად უკავშირდებიან, ამან საშუალება მისცა დაედგინა ბენზოლის მოლეკულის ატომური სტრუქტურა. ნასიამოვნებმა კეკულემ გააკეთა დასკვნა: „უნდა ისწავლო სიზმრების ნახვა“. დიმიტრი მენდელეევმა სიზმარში ნახა პერიოდულ სისტემაში ქიმიურ ელემენტთა განლაგების პრინციპი.

დევიდ რენდელმა თავის წიგნში სიზმრის შესწავლის კალიფორნიაში არსებული საერთაშორისო ასოციაციის მასალა გამოაქვეყნა. თურმე გამოკითხული ქალების 60%-სა და მამაკაცების 40%-ს ხშირად ესიზმრებათ გარდაცვლილი ნათესავები. ქალი მოგვითხრობს ბიძის სიზმარს: ბიძას დაესიზმრა გარდაცვლილი დედა, რომელიც შვილს ეუბნება: „მიწაში გიშოვე უფანჯრო და უკარო ოთახი“. მეორე დღეს ბიძა გარდაიცვალა.

ფროიდის მიხედვით, სიზმრების რეალური სიუჟეტები უკავშირდება ინდივიდის ცნობიერებიდან განდევნილ სურვილებსა და დაძაბულობას, მისი აზრით, სიზმარი რეალურ ცხოვრებაში დაუკმაყოფილებელი არაცნობიერი სურვილების დაკმაყოფილებას წარმოადგენს. ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე, ჩვილობის ასაკიდან ღრმა მოხუცებულობამდე, ახასიათებს სწრაფვა სქესობრივი ტკბობისადმი. ფროიდიზმი პოპულარული იყო XX საუკუნის პირველ ნახევარში. სიზმრის მისეული ინტერპრეტაცია კულტურის შემადგენელი ნაწილი გახდა – ფროიდის შეხედულებებს იყენებდნენ კინემატოგრაფიაში, დანაშაულის ჩადენის მიზეზების გამოკვლევაში და იგი მრავალ ლიტერატურულ ნაწარმოებშიცაა ასახული. სწრაფვა სქესობრივი ტკბობისადმი ხშირად იმგვარ ფორმას იღებდა, როგორიც სრულიად შეუთავსებელი იყო ადამიანურ მორალთან. სანიმუშოდ მოვიყვან ერთ აღმაშფოთებელ ფაქტს – ქალი ამბობდა: „სიზმარში ვნახე, რომ გარდაცვლილი მამისაგან ვიყავი ფეხმძიმედ“.

ამიტომაც ფსიქოლოგებში 1950 წლიდან ფროიდის პოპულარულმა შეხედულებამ ინტერესი დაკარგა, რასაც ხელი შეუწყო აგრეთვე 90-წუთიანი ძილის ციკლის აღმოჩენამ, რის გამოც ნეირობიოლოგიის ბევრმა თეორეტიკოსმა საერთოდ უარი თქვა ფროიდის სიზმრის კონცეფციაზე.



ზიგმუნდ ფროიდი

ამჟამად ნეიროფსიქოლოგები წარმატებით იყენებენ მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიის მეთოდს. ამ მეთოდის გამოყენებით გადადგმულ იქნა პირველი ნაბიჯი – მიიღეს სიზმრის ვიდეოჩანაწერი. რამდენიმე წელიწადში მეთოდი დაიხვეწება, უფრო სრულყოფილი გახდება და უკვე შეძლებენ სიზმრის დემონსტრირებას ისე, როგორც კინოფილმისას.

ფსიქოლოგებმა საინტერესო აღმოჩენა გამოაქვეყნეს: მათი შეხედულებით, ცუდი სიზმრები ადამიანის ემოციური მდგომარეობისათვის საჭირო და სასარგებლოც ყოფილა. ცუდ სიზმრებს დღის მანძილზე დაგროვილი ჭარბი რაოდენობის უარყოფითი ემოციები იწვევს, აუხსნელი სიზმარი ადამიანს საშუალებას აძლევს შიში და ნეგატიური შეგრძნებები ღამით, ძილში დაძლიოს და მათგან განთავისუფლდეს.

რომელი საგანმანათლებლო პროგრამები იყო ყველაზე მოთხოვნადი 2015 წელს (პირველი არჩევანის მიხედვით)

უმაღლესი სასწავლო დაწესებულება	პროგრამის კოდი	პროგრამა	ადგილების რაოდენობა	განაცხადის რაოდენობა არჩევანის I მიხედვით
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	0100201	ბიზნესის ადმინისტრირება	940	2961
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	0010121	სამართალი	440	2065
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	0030101	მშენებლობამოდულები	500	1668
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	0100101	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამები	725	1403
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	0010117	ეკონომიკა	400	1392
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	0100301	სამართალი	325	1183
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	0060101	დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა	300	1095
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	0010101	ქართული ფილოლოგია	200	869
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	0010114	საერთაშორისო ურთიერთობები	70	735
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	0030203	ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია	450	541
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	0010102	ისტორია	150	496
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	0010123	ფსიქოლოგია	145	493
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	0010110	კომპიუტერული მეცნიერება; კომპიუტერული მეცნიერება (ქართულ-ფრანგული); გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია; გეოგრაფია; გეოლოგია; ელექტრონიკა; ეკოლოგია	295	464
სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (ქ. ბათუმი)	0530101	საზღვაო ნავიგაცია	175	454
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	0010113	საზოგადოებრივი გეოგრაფია; სოციოლოგია; სოციალური მუშაობა; პოლიტიკის მეცნიერება	320	453
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	0010118	ბიზნესის ადმინისტრირება	360	405
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ბათუმი)	1140401	სამართალმცოდნეობა	70	402
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	0010201	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აზერბაიჯანულენოვანთათვის	180	401
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	0050101	ბიოლოგია, ქიმია, აგრონომია, კვების პროდუქტების ტექნოლოგიები, მევენახეობა, მეღვინეობა, ვეტერინარია, მეცხოველეობა, სატყეო საქმე	180	400
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	0010105	ა) ეთნოლოგია; ბ) ხელოვნებათმცოდნეობა; გ) კულტურის კვლევები; დ) კავკასიოლოგია (ქართ. რუს); ე) ამერიკისმცოდნეობა; ვ) აღმოსავლეთმცოდნეობა: არაბისტიკა, ირანისტიკა, თურქოლოგია, ებრაისტიკა, არამეისტიკა, არმენოლოგია, ასირიოლოგია; ზ) ფილოლოგია: ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია, ესპანური ფილოლოგია, იტალიური ფილოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტიური ფილოლოგია, ახალი ბერძნული ფილოლოგია, რუსული ფილოლოგია (ქართ. რუს), სკანდინავიური ფილოლოგია; თ) სახვითი ხელოვნება, ტელე-კინო ხელოვნება	300	394

პროგრამებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია იხ. ვებგვერდზე: www.naec.gov.ge

ჟურნალის რედაქციის მიერ გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურსში ორი გამარჯვებული ნაწარმოები გამოვლინდა.

იმ ქუჩის ბოლოს

ძველი თბილისის ერთ უბანში, ქუჩის ბოლოს, აგურით ნაშენებ სახლში მოხუცი ცხოვრობდა. ოთახში ფანჯრის რაფაზე წამლები ედო, მაგიდაზე – საკერავი მანქანა. ბუხრის თავზე თავისი ახალგაზრდობის დროინდელი, გარდაცვლილი მეუღლის, შვილებისა და შვილიშვილების სურათები ეკიდა. მოხუცს ორი შვილი, ორი შვილიშვილი და ოთხი შვილთაშვილი ჰყავდა. ამაყობდა თავისი შთამომავლობით.

საღამოობით მოხუცი თავის ძველ სავარძელში ჩაჯდებოდა, მუხლებზე თავის ერთადერთ მეგობარ კატას დაისვამდა და ეფერებოდა. მოგვიანებით სერიალებს უყურებდა. ძილის წინ ოთახში შევიდოდა, მოეფერებოდა დამტვერილ აკვანს, რომელშიც მისი შვილები იწვნენ და თვალი ეცრემლებოდა, ენატრებოდა წარსული, როდესაც შვილები პატარები იყვნენ და ერთად ცხოვრობდნენ. დაწოლის წინ პირჯვარს გადაიწერდა და ღმერთს შვილების კარგად ყოფნას შესთხოვდა.

დილით ადრე ადგებოდა, ფისოს რძეს დაალევინებდა, წნევის წამლებს დალევდა, შემდეგ შვილებს მოიკითხავდა. ელოდებოდა, როდის მოვიდოდა შაბათი, რომ შვილიშვილები ენახა. სამზადისს პარასკევიდან იწყებდა – ჯერ იმ საჭმელებს მოამზადებდა, რომლებიც იმათ მოსწონდათ, შემდეგ ცომს მოზელდა კუბდარებისათვის, თავს იწონებდა, კარგ კუბდარს აცხობდა.

შაბათ დილას უფრო ადრე ადგებოდა და სამზარეულოში ფუსფუსს იწყებდა. კარზე ზარი დარეკავდა, მიეგებებოდა შვილებს, მოეფერებოდა შვილიშვილებს და ყველანი გაშლილ მაგიდას მიუსხდებოდნენ. ამ დღეს მოხუცს არც წნევა აწუხებდა და არც გული.

საღამოს ისევ მარტო რჩებოდა თავის ერთგულ მეგობარ ფისოსთან ერთად.

იმ ქუჩის ბოლოს ერთი მოხუცი ცხოვრობდა, რომელიც გამუდმებით შაბათი დღის დადგომას ელოდა.

დავით ჩანქსელიანი,
თბილისის ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე.

* * *

რომ თენდებოდეს. ღამდებოდეს. თუნ-დაც, ისე-დაც,
რომ ყველაფერი მაღელვებდეს. ცრუ სცენებს ვდგამდე.
გაზაფხულამდე, ზაფხულამდე, შემოდგომამდე...
ზამთარს ვტოვებდე. ერთხელ წვიმით რომ დამისველდა,
დღემდე სველ ლაქად შერჩენია ქურთუკს კისერთან.
რომ დროში რამე იცვლებოდეს. რაც არ მამძიმებს –
მამსუბუქებდეს და რაც არ მკრებს – ქარში გავქონდე.
ეს ყველაფერი მაღელვებდეს მაინც. ან ქოთნის
ყვავილებს ვრწყავდე. ანდა ვიღებდე აბებს საძილეს.
ნეტავ რომ მოვკვდე, პირველი ვინ მიუსამძიმრებს
ჩემს ნათესავებს და რომ არ მოვკვდე სულაც და მიწას
მსხვილი ხესავით მყარად ვედგე მთელი ცხოვრება,
ვინ გამოივლის ყოველდღე. ვის ემახსოვრება,
რომ ცოცხალი ვარ. გადავლახე დღემდე სამი ცა.
დღეს აქ ვარ, ვიღაც არამზადამ ზედ გადამიცვა.
და ვფიქრობ, რამე რომ ხდებოდეს, რა მოხდებოდა...

ნინი ელიაშვილი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი.

გამოსაშვები გამოცდების ტესტების ნიმუშები

ფიზიკა

1. ახალგაზრდებმა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში გაიარეს ჩრდილოეთის მიმართულებით 600 მ, შემდეგ აღმოსავლეთის მიმართულებით - 800 მ. მათ მიერ გავლილი მანძილის შეფარდება გადაადგილების მოდულთან არის

ა) 1 ბ) 1,4 გ) 5 დ) 7

2. ნახაზზე გამოსახულია სითხიანი მენზურა მასში სხეულის ჩაშვებამდე და ჩაშვების შემდეგ, აგრეთვე იგივე სხეული ელექტრონულ სასწორზე. რისი ტოლია სხეულის სიმკვრივე?



ა) 4 გ/სმ³ ბ) 6 გ/სმ³ გ) 8 გ/სმ³ დ) 9 გ/სმ³

3. ოთხი ერთნაირი საწონი დაკავშირებულია ერთმანეთთან უწონო და უჭიმვადი ძაფით და გადაკიდებულია უწონო ჭოჭონაქზე, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები. თითოეული საწონის მასაა m. რისი ტოლია საწონების აჩქარება? (ხახუნის ძალები უგულებელყავით.)



ა) g/4 ბ) g/3 გ) g/2 დ) g

4. გარკვეული ძალის მოქმედებით t დროის განმავლობაში m მასის თავდაპირველად უძრავმა სხეულმა შეიძინა p იმპულსი. რა იმპულსს შეიძენს იმავე ძალის მოქმედებით 2t დროში 2m მასის თავდაპირველად უძრავი სხეული?

ა) 0,25p ბ) 0,5p გ) 2p დ) 4p

5. ჰორიზონტალურ ზედაპირზე V სიჩქარით მოძრავი 3m მასის პლასტილინის ბურთულა შეეჯახა m მასის უძრავ პლასტელინის ბურთულას და შეეწება მას. რისი ტოლია ბურთულების სიჩქარე შეჯახების შემდეგ?

ა) V/4 ბ) V/3 გ) V/2 დ) 3V/4

6. ნახაზზე გამოსახულიm მასის ერთგვაროვანი ბერკეტი წონასწორობაშია. მარცხენა სხეულის მასაა m. რისი ტოლია საყრდენზე ბერკეტის დაწოლის ძალა?

ა) 3mg/2 ბ) 2mg გ) 5mg/2 დ) 7mg/2

7. სხეული თავისუფლად ვარდება დედამიწის ზედაპირზე უსაწყისო სიჩქარით h სიმაღლიდან. რისი ტოლი იქნება სხეულის კინეტიკური ენერგიის შეფარდება პოტენციურ ენერგიასთან (Eკინ/Eპოტ) h/3 სიმაღლეზე? ჰაერის წინააღმდეგობა უგულებელყავით. ნულოვან დონედ დედამიწის ზედაპირი მიიჩნიეთ.

ა) 1/3 ბ) 1/2 გ) 2 დ) 3

8. ჩამოთვლილი სიდიდეებიდან რომელზეა (რომლებზეა) დამოკიდებული სითხეში <u>მოტივტივე</u> სხეულზე მოქმედი ამომგდები ძალა?

I. სითხის სიკვრივეზე II. სხეულის მასაზე III. სხეულის მოცულობაზე

ა) მხოლოდ I-ზე ბ) მხოლოდ II-ზე გ) მხოლოდ III-ზე დ) I-სა და III-ზე

9. სხეული ტივტივებს წყალში ისე, რომ ჩაძირულია მისი მოცულობის 40%. იპოვეთ სხეულის სიმკვრივე. (წყლის სიმკვრივეა 1000 კგ/მ³)

ა) 400 კგ/მ³ ბ) 600 კგ/მ³ გ) 1000 კგ/მ³ დ) 1400 კგ/მ³

10. დიაგრამაზე გამოსახულია ოთხი სხეულის მიერ მიღებული Q სითბოს რაოდენობა და მათი ტემპერატურის Δt ცვლილება. რომელ მათგანს აქვს მაქსიმალური სითბოტევადობა?



ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4

11. სპილენძის ერთ მავთულს აქვს R წინაღობა. რა წინაღობა ექნება სპილენძის მეორე მავთულს, რომელსაც პირველთან შედარებით 2-ჯერ მეტი სიგრძე და 2-ჯერ მეტი განივკვეთის ფართობი აქვს?

ა) R/2 ბ) R გ) 2R დ) 4R

12. მოცემულ სქემაზე 2R წინაღობის გამტარში დენის ძალაა I. რისი ტოლია დენის ძალა R წინაღობის გამტარში?



ა) 0,25 I ბ) 0,5 I გ) 2 I დ) 4 I

13. U ძაბვის ქსელში ჯერ ჩართეს მიმდევრობით შეერთებული 5 ერთნაირი ნათურა, ხოლო შემდეგ პარალელურად შეერთებული იგივე ნათურები. რამდენჯერ შეიცვალა ქსელიდან მოხმარებული სიმძლავრე?

ა) 25-ჯერ შემცირდა ბ) 5-ჯერ შემცირდა გ) 5-ჯერ გაიზარდა დ) 25-ჯერ გაიზარდა

14. ბრტყელი სარკე მისი ზედაპირის მართობულად მიმართული v სიჩქარით შორდება უძრავ წერტილოვან წყაროს. რა სიჩქარით მოძრაობს წყაროს გამოსახულება?

ა) 0 ბ) v/2 გ) v დ) 2v

15. ნახაზზე მოცემულია მერხევი სხეულის წონასწორობიდან გადახრის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი. რისი ტოლია სხეულის რხევის სიხშირე?



ა) 0,25 ჰერცი ბ) 0,5 ჰერცი გ) 2 ჰერცი დ) 4 ჰერცი

ქიმია

1. მოცემული ნივთიერებებიდან:
I. წყალი II. ნახშირორჟანგი III. გლუკოზა IV. ჟანგბადი
რომელია <u>მარტივი</u> ნივთიერება?

ა) მხოლოდ I ბ) მხოლოდ IV გ) I, II და IV დ) ოთხივე

2. ნიკამ <u>შაქრისა და ცარცის ნარევი</u> გახსნა წყალში. სურათებზე ნაჩვენები მეთოდებიდან რომელი უნდა გამოიყენოს ნიკამ, რომ შაქარი მიიღოს <u>სუფთა</u> სახით?



ა) ჯერ I, შემდეგ II
ბ) ჯერ II, შემდეგ I
გ) საკმარისია მხოლოდ I-ის გამოყენება
დ) საკმარისია მხოლოდ II-ის გამოყენება

3. ჩამოთვლილთაგან რომელია მჟავა მარილი?

ა) H_3PO_4 ბ) K_3PO_4 გ) $Ca_3(PO_4)_2$ დ) $CaHPO_4$

4. რომელი ელემენტის ატომის ელექტრონული აღნაგობაა მოცემული სურათზე?



ა) ფტორის ბ) ქლორის გ) ბრომის დ) იოდის

5. მოცემულია A და B ნივთიერებების წყალში ხსნადობის ტემპერატურაზე დამოკიდებულების გრაფიკები.
აიღეს ორივე ნივთიერების ნაჯერი ხსნარები 90°C-ზე ერთნაირი მოცულობით და გააცივეს 50°C-მდე. ქვემოთ მოცემული მტკიცებულებებიდან რომელია სწორი?



ა) A-ს ხსნარიდან უფრო მეტი მასის ნივთიერება გამოკრისტალდება, ვიდრე B-ს ხსნარიდან
ბ) B-ს ხსნარიდან უფრო მეტი მასის ნივთიერება გამოკრისტალდება, ვიდრე A-ს ხსნარიდან
გ) ორივე ხსნარიდან ერთნაირი მასის ნივთიერებები გამოკრისტალდება
დ) ხსნარებიდან ნივთიერებები არ გამოკრისტალდება

6. ჟანგვა-აღდგენითი რეაქციის დროს ქლორის ჟანგვის ხარისხი შემდეგნაირად იცვლება:
$Cl^{-1} \rightarrow I^{+5}$
ამ დროს ქლორის ატომი

ა) იერთებს 4 ელექტრონს
ბ) იერთებს 6 ელექტრონს
გ) გასცემს 4 ელექტრონს
დ) გასცემს 6 ელექტრონს

7. რამდენი მოლი იონი წარმოიქმნება 1 მოლი $Ca(NO_3)_2$-ის ელექტროლიტური დისოციაციის შედეგად?

ა) 2 მოლი ბ) 3 მოლი გ) 6 მოლი დ) 7 მოლი

8. რა მასა აქვს 2.24 ლ H_2S-ს (ნ.პ.)?

ა) 3.4 გ ბ) 340 გ გ) 3.4 კგ დ) 340 კგ

9. ჩამოთვლილთაგან რომელი იონით შეიძლება Cl^- იონების აღმოჩენა? (ისარგებლეთ ხსნადობის ცხრილით)

ა) Ba^{2+} ბ) Cu^{2+} გ) Ag^+ დ) Na^+

10. ჩამოთვლილთაგან რომელია SO_2-ის შესაბამისი მჟავას ფორმულა?

ა) H_2S ბ) H_2SO_2 გ) H_2SO_3 დ) H_2SO_4

11. ჩამქრალი კირის ქიმიური ფორმულაა:

ა) $CaCO_3$ ბ) $CaSO_4$ გ) $Ca(OH)_2$ დ) CaO

12. მოცემულია გაუთანაბრებელი რეაქცია:
$NaOH + P_2O_5 \rightarrow ... + H_2O$
ჩამოთვლილთაგან რომელი ფორმულაა გამოტოვებული?

ა) NaP_2O_5 ბ) $Na_3P_2O_5$ გ) $NaPO_4$ დ) Na_3PO_4

13. მოცემული რეაქციებიდან რომლის შედეგად <u>არ წარმოიქმნება აირი?</u>

ა) $Mg + HCl \rightarrow$ ბ) $MgO + HCl \rightarrow$ გ) $MgS + HCl \rightarrow$ დ) $MgCO_3 + HCl \rightarrow$

14. დიაგრამაზე მოცემულია ზოგიერთი ალკანის ლღობისა და დუღილის ტემპერატურები.

დიაგრამის მიხედვით რომელი ალკანია <u>თხევადი წყლის გაყინვის ტემპერატურაზე?</u>



ა) მხოლოდ I ბ) II, III და IV გ) ოთხივე დ) არც ერთი

15. მოცემულია ოთხატომიანი ნახშირბადული ჯაჭვი:

სულ რამდენი წყალბადატომია ასეთი აღნაგობის უჯერ ნახშირწყალბადში?

ა) 4 ბ) 6 გ) 8 დ) 10

16. მოცემულია ეთილენის სტრუქტურული ფორმულა:
რამდენი σ (სიგმა)-ბმაა ეთილენში?



ა) 1 ბ) 2 გ) 5 დ) 6

17. მოცემულია სამი ნახშირწყალბადი:
I. $H_3C - CH_3$ II. $H_2C = HC_2$ III. $HC \equiv CH$
რომელ მათგანს ახასიათებს <u>ჰიდრირება</u> (წყალბადის მიერთება)?

ა) I-სა და II-ს ბ) I-სა და III-ს გ) II-სა და III-ს დ) სამივეს

18. ჩამოთვლილთაგან რომელი მჟავას მარილია საპონი?

ა) არაორგანული უჟანგბადო მჟავას ბ) არაორგანული ჟანგბადიანი მჟავას
გ) ორგანული მოკლეჯაჭვიანი მჟავას დ) ორგანული გრძელჯაჭვიანი მჟავას

19. რომელი ნაერთი მიიღება მოცემული რეაქციის შედეგად?



ა)  ბ)  გ)  დ) 

20. რამდენი გრამი ეთილის სპირტია 200 გ 12%-იან ხსნარში?

ა) 2.76 გ ბ) 4.6 გ გ) 6 გ დ) 24 გ

ბიოლოგია

1. საჭმლის მომნელებელი სისტემის რომელ ნაწილში იწყება ნახშირწყლების მონელება?



ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4

2. ილუსტრაციაზე რომელი ასოთია აღნიშნული მიტოქონდრია?



ა) A ბ) B გ) C დ) D

3. როგორ უკავშირდებიან ამინომჟავების ნაშთები ერთმანეთს ცილის პირველად სტრუქტურაში?

ა) პეპტიდური ბმებით
ბ) წყალბადური ბმებით
გ) ჰიდროფობული კავშირებით
დ) იონური ბმებით

4. რას გამოიწვევს საარსებო რესურსების უკმარისობისას პოპულაციაში ინდივიდების რიცხვის გაზრდა?

ა) არსებობისათვის ბრძოლის გამწვავებას
ბ) გენეტიკურ ნაირგვარობას
გ) კომბინაციურ ცვალებადობას
დ) მოდიფიკაციურ ცვალებადობას

5. რომელი ციფრით არის აღნიშნული ლეიკოციტი?



ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4

6. რაზე მიგვანიშნებს პურის ყანაში სხვადასხვა სიმაღლის ხორბლის არსებობა?

ა) შიდასახეობრივ ბრძოლაზე
ბ) სახეობათაშორის ბრძოლაზე
გ) ადაპტაციაზე
დ) გარემოს არახელსაყრელ პირობებთან ბრძოლაზე

7. ილუსტრაციაზე მოცემულია ხის ქერქზე განვითარებული მღიერი. მღიერი სოკოსა და წყალმცენარეებისგან შედგება. როგორი ბიოტური კავშირია სოკოსა და წყალმცენარეს შორის?

ა) კონკურენცია ბ) სიმბიოზი გ) პარაზიტიზმი დ) ნეიტრალიზმი

8. გულის რომელი ნაწილის შეკუმშვით გადაისროლება სისხლი აორტაში?



ა) A ბ) B გ) C დ) D

9. ჩამოთვლილი ორგანოიდებიდან რომელია შემოსაზღვრული ერთი მემბრანით?



ა) ქლოროპლასტი ბ) ენდოპლაზმური ბადე
გ)რიბოსომა დ) მიტოქონდრია

10. F_2-ში მიღებული შედეგის გამოყენებით განსაზღვრეთ ჟოლოში საწყის მცენარეთა (P) გენოტიპები.

ა) AA x aa ბ) Aa x Aa გ) Aa x aa დ) AA x AA

11. დნმ-ის რამდენ მოლეკულას შეიცავს სომატური უჯრედის თითოეული ქრომოსომა მიტოზის მეტაფაზისა და ანაფაზის სტადიებზე:

ა) მეტაფაზაში -1, ანაფაზაში -1 ბ) მეტაფაზაში -1, ანაფაზაში -2
გ) მეტაფაზაში -2, ანაფაზაში - 1 დ) მეტაფაზაში -2, ანაფაზაში -2

12. ჩამოთვლილთაგან სანათურების ყველაზე დიდი საერთო ფართობი აქვს:

ა) აორტას ბ) ქვედა და ზედა ღრუ ვენას
გ) არტერიებს დ) კაპილარებს

13. იხელმძღვანელეთ ილუსტრაციით და განსაზღვრეთ რომელია მესამე რიგის კონსუმენტი:



ა) B ბ) C გ) D დ) E

14. რომელი ჩანასახოვანი შრე აქვს გასტრულას?

ა) ექტოდერმა და ენტოდერმა
ბ) ექტოდერმა და მეზოდერმა
გ) ენტოდერმა და მეზოდერმა
დ) ექტოდერმა, ენტოდერმა და მეზოდერმა

15. რომელი ორგანოიდი მონაწილეობს უშუალოდ უჯრედის გაყოფაში?

ა) A
ბ) B
გ) C
დ) D



16. იხელმძღვანელეთ ილუსტრაციით და განსაზღვრეთ რომელი ასოთია აღნიშნული ტრაქეა:



ა) A ბ) B გ) C დ) D

17. დალტონიზმი სქესთან შეჭიდული რეცესიული ნიშანია. მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით დაადგინეთ მშობლების გენოტიპები.

ა) X^DX^D x X^dY
ბ) X^dX^d x X^dY
გ) X^DX^D x X^DY
დ) XDX^d x X^DY

18. ჩამოთვლილთაგან, ხერხემლიანთა რომელი კლასის წარმომადგენლებს არ ახასიათებთ პირდაპირი განვითარება?

ა) ამფიბიებს ბ) ქვეწარმავლებს გ) ძუძუმწოვრებს დ) ფრინველებს

19. თუთუყუშში ბუმბულის (მწვანე ან ლურჯი) შეფერილობა და ფრთახალიანობა (ფრთახალა ან სადა) მემკვიდრული ნიშნებია. მოწოდებული ინფორმაციით განსაზღვრეთ მშობლების (P) გენოტიპები.



ა) AaBb x aabb ბ) aaBB x AAbb
გ) AABb x AaBB დ) AABB x aabb

20. სურათზე ნაჩვენებია უხვმოსავლიანი პოლიპლოიდური საზამთრო, ბანანი, ვაშლი. განსაზღვრეთ, რომელი მუტაციის შედეგად იღებენ ასეთ ჯიშებს?



ა) გენური ბ) სომატური
გ) გენომური დ) ციტოპლაზმური

ისტორია

1. რომელი არგუმენტი გამოდგება გეორგიევსკის ტრაქტატის დადების საწინააღმდეგო პოზიციის გასამტკიცებლად?

ა. ქართლ-კახეთის სამეფოს კანონები შეუსაბამეს რუსეთის კონსტიტუციას;
ბ. ტრაქტატის თანახმად, ქართლ-კახეთში დაწესდა საეგზარქოსო;
გ. დაწესდა საგანგებო გადასახადი საიმპერატორო კარის სასარგებლოდ;
დ. ხელშეკრულების პირობები ზღუდავდა ქართლ-კახეთის სამეფოს სუვერენიტეტს.

2. რომელი მოსაზრება <u>არაა მართებული</u> 1924 წლის აჯანყების დამარცხების მიზეზებთან დაკავშირებით?

ა. საბჭოთა ხელისუფლებას ჯერ კიდევ აჯანყებამდე ჰქონდა ინფორმაცია მოსალოდნელი შეიარაღებული გამოსვლის შესახებ;
ბ. დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრების ემიგრაციაში წასვლამ ხელი შეუშალა აჯანყების მომზადებას;
გ. საბჭოთა ხელისუფლებამ დააპატიმრა აჯანყების მზადებასთან დაკავშირებული არაერთი პირი;
დ. აჯანყებულები შეუთანხმებელად მოქმედებდნენ.

3. საფრანგეთის ისტორიის რა პერიოდს ასახავს პარიზის ერთ-ერთი ქუჩის ფოტო?

ა. დე გოლის მმართველობის;
ბ. მეორე იმპერიის;
გ. პირველი რესპუბლიკის;
დ. ნაცისტური ოკუპაციის.

4. რომელია ნაპოლეონის ის ბრძოლა, რომლის სახელიც მარცხის სინონიმად იქცა?

ა. აუსტერლიცის;
ბ. ვერდენის;
გ. სადოვას;
დ. ვატერლოოს.

5. რომელი სახელმწიფოს ძლიერების ხანაა ასახული რუკაზე?

ა. სეფიანთა ირანის;
ბ. ოქროს ურდოს;
გ. ოსმალთა იმპერიის;
დ. სელჩუკთა სასულთნოს.

6. რა სახით შეუწყო ხელი განვითარებული მრეწველობის არსებობამ ჩრდილოეთის შტატების გამარჯვებას აშშ-ის სამოქალაქო ომში?

ა. მოხდა მრეწველობაში დასაქმებული მრავალრიცხოვანი მონების ჯარში გაწვევა;
ბ. ადვილად მოხერხდა ქვემეხებისა და თვითმფრინავების გამოშვების ორგანიზება;
გ. მრეწველობაში დასაქმებული განათლებული ფერმერები კარგი ოფიცრები გახდნენ;
დ. ჩრდილოელთა ჯარი კარგად მარაგდებოდა იარაღითა და ტყვია-წამალით.

7. რა დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა წარმოდგენილი პლაკატი?

ა. ომში გაიმარჯვა „ანტანტამ“;
ბ. „ცივი ომი“ დამთავრდა;
გ. ფრანკოს რეჟიმი განადგურდა;
დ. სსრკ, აშშ და დიდი ბრიტანეთი მოკავშირეები არიან.

8. სხვა მიზეზებთან ერთად რამ განაპირობა ტამპლიერთა ორდენის განადგურება?

ა. იერუსალიმის სამეფოს დაცემამ;
ბ. ორდენის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის ზრდამ;
გ. ჯვაროსნული ლაშქრობების შეწყვეტამ;
დ. რეფორმაციის დროს პროტესტანტებთან დაპირისპირებამ.

9. რა მოვლენას ეძღვნება პოლიტიკური შარჟი?

ა. სოციალისტური ბანაკის დაშლას;
ბ. საერთაშორისო განიარაღებას;
გ. გლობალიზაციას;
დ. ცივ ომს.

10. რაში მდგომარეობს პოლიტიკური შარჟის იდეა?

ა. მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის მიუხედავად, სახელმწიფოები მაინც მეტოქეებად რჩებიან;
ბ. ყველა არსებული ტოტალიტარული რეჟიმი მუდმივად ერთმანეთის მოკავშირეა;
გ. კომუნიზმი და ნაციზმი ერთი და იმავე იდეოლოგიის ორი კონკრეტული გამოვლინებაა;
დ. მიუნხენის შეთანხმების პირობებმა ძველი მტრები აიძულა მცირე ხნით შერიგებულიყვნენ.

11. ვისი მეფობის დროინდელი საქართველოს სამეფოა ასახული რუკაზე?

ფიფი ქალაქი
საქართველოს სამეფო
ბალანები
ფოროლანი
ფიფიფიანი
ხერსანი
ფარუანდი
ფარუანდი
ფარუანდი
ფარუანდი
ლეკეთი
ფარუანდი
ფარუანდი
ფარუანდი
ფარუანდ

გეოგრაფია

1. ჩრდილოეთ კავკასიის რომელი პოლიტიკური სუბიექტი ესაზღვრება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო ერთეულს?

ა) ინგუშეთი; ბ) ჩრდილოეთ ოსეთი;
გ) ჩეჩნეთი; დ) ყარაჩაი-ჩერქეზეთი.

2. საქართველოს მუნიციპალიტეტებიდან (ადმინისტრაციული რაიონებიდან) სად არის უფრო მეტად თოვლის ზვავის წარმოქმნის საშიშროება?

ა) მესტიაში; ბ) ზუგდიდში; გ) თერჯოლაში; დ) ზესტაფონში.

3. რომელი მდინარე მიეკუთვნება შავი ზღვის აუზს?

ა) ქსანი; ბ) მტკვარი; გ) თერგი; დ) სუფსა.

4. რომელი აღკვეთილი <u>არ მდებარეობს</u> კახეთის ტერიტორიაზე?

ა) ილტოს; ბ) გარდაბნის; გ) ჭაჭუნას; დ) ივრის.

5. მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ბოლო ყველაზე დიდი ცვლილება მოხდა:

ა) II მსოფლიო ომის შემდეგ; ბ) ცივი ომის დამთავრების შემდეგ;
გ) I მსოფლიო ომის შემდეგ; დ) საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ.

6. ჩამოთვლილთაგან რომელი ქვეყანა არის ნატოს წევრი?

ა) იაპონია; ბ) ჩეხეთი; გ) ირანი; დ) უკრაინა.

7. რომელი სახელმწიფოა სამივე ოგრანიზაციის – გაეროს, ევროკავშირისა და ნატოს – წევრი?

ა) თურქეთი; ბ) უკრაინა; გ) ლატვია; დ) რუსეთი.

8. რა ეწოდება ქვეყნის მოსახლეობაში ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდას?

ა) აგლომერაცია; ბ) ურბანიზაცია; გ) რურალიზაცია; დ) გლობალიზაცია.

9. რომელ ქვეყანაშია სურათზე გამოსახული არქიტექტურული კომპლექსი?

ა) საფრანგეთში; ბ) ბრაზილიაში;
გ) იტალიაში; დ) საბერძნეთში.

10. სქესობრივ-ასაკობრივი (დემოგრაფიული) პირამიდის მიხედვით, ჩამოთვლილი ასაკობრივი ჯგუფებიდან რომელია უფრო მრავალრიცხოვანი?



ა) 0-4; ბ) 30-34;
გ) 55-59; დ) 75-79.

11. რომელია C წერტილის გეოგრაფიული კოორდინატები?



ა) ჩ.გ. 5° დ.გ. 125°
ბ) ს.გ. 5° ა.გ. 125°
გ) ჩ.გ. 4° დ.გ. 118°
დ) ს.გ. 4° ა.გ. 118°

12. რომელ ქალაქშია ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა ყველაზე დაბალი?

ქალაქი	ყველაზე თბილი თვის საშუალო ტემპერატურა °C	ყველაზე ცივი თვის საშუალო ტემპერატურა °C
A	+25	+5
B	+15	-10
C	+24	+1
D	+16	-6

ა) A; ბ) B; გ) C; დ) D.

13. თქვენ ხელთ არსებულ რუკაზე, რომლის მასშტაბია 1 : 1 500 000, ქ. ქუთაისსა და ქ. განჯას შორის მანძილი 24 სანტიმეტრს უდრის. დაადგინეთ, რამდენი კილომეტრია აღნიშნულ გეოგრაფიულ ობიექტებს შორის მანძილი?

ა) 24 კმ; ბ) 36 კმ; გ) 360 კმ; დ) 3600 კმ.

14. რა არის მიგრაციის სალდო?

ა) იმიგრანტებისა და ემიგრანტების სხვაობა;
ბ) იმიგრანტებისა და ბუნებრივი მატების სხვაობა;
გ) ემიგრანტებისა და სიკვდილიანობის კოეფიციენტის სხვაობა;
დ) შობადობისა და სიკვდილიანობის კოეფიციენტების სხვაობა.

15. სად მდებარეობს გეოგრაფიული ობიექტი, რომლის კოორდინატებია 20° ს.გ. და 60° დ.გ.?

ა) ეკვატორის ჩრდილოეთით და გრინვიჩის მერიდიანის დასავლეთით;
ბ) ეკვატორის სამხრეთით და გრინვიჩის მერიდიანის დასავლეთით;
გ) ეკვატორის ჩრდილოეთით და გრინვიჩის მერიდიანის აღმოსავლეთით;
დ) ეკვატორის სამხრეთით და გრინვიჩის მერიდიანის აღმოსავლეთით.

პასუხები

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
ფიზიკა	ბ	გ	გ	გ	დ	დ	გ	ბ	ა	დ	ბ	გ	დ	დ	ა	-	-	-	-	-
ქიმია	ბ	ბ	დ	ბ	ა	დ	ბ	ა	გ	გ	გ	დ	ბ	ბ	გ	გ	გ	დ	ა	დ
ბიოლოგია	ა	დ	ა	ა	ბ	ა	ბ	დ	ბ	ა	გ	დ	გ	ა	ბ	ბ	დ	ა	ბ	გ
ისტორია	დ	ბ	დ	დ	გ	დ	დ	ბ	დ	ა	გ	გ	ბ	ბ	ა	-	-	-	-	-
გეოგრაფია	ბ	ა	დ	ბ	ბ	ბ	გ	ბ	გ	გ	გ	ა	გ	ა	ბ	-	-	-	-	-





მთავარი რედაქტორი:
გიორგი მაჭავარიანი

ნომერზე მუშაობდნენ:
ქეთი კვიტატიანი, ნაირა ცხვედიანი

გარეკანის ფოტო:
ლევან მოსეშვილი თამაშის დროს. ფოტო დაცულია
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის არქივში.

დაკაბადონება:
ლევან მაჭავარიანი

გამომცემლობა:
„კოლორი“

ჟურნალი „Naec.ge“ X ნომერი, მარტი 2016.

შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი
მისამართი: მინდელის N9.
ტელ: 2 47 33 33.
info@naec.ge
naec.gov.ge

IMEDI.FM

RADIO IMEDI FM რადიო იმედი

განახლებული დრო

NAEC.GOV.GE

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

საინფორმაციო მხარდამჭერი

ყოველ სამშაბათს
13 საათსა და **10** წუთზე
წარმოგიდგენთ გადაცემას
„გამოცდებიდან გამოცდებამდე“
თეიკო ანჯაფარიძესთან ერთად

„შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი“ აცხადებს ფოტოკონკურსს!

საკონკურსო ნამუშევრები გამოგზავნეთ ელ. ფოსტაზე: **konkursi@naec.ge 2016** წლის **1** ივნისის ჩათვლით;

გამარჯვებული ავტორების ფოტონამუშევრები გამოქვეყნდება ცენტრის ჟურნალის, „**Naec.ge**“-ს სხვადასხვა ნომერში;

სახელის, გვარისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითების გარეშე ნამუშევრები არ მიიღება;

უპირატესობა მიენიჭება ავტორის მიერ გამოგზავნილ იმ ფოტოკოლაჟს, რომელსაც საერთო კონცეფცია და სათაური ექნება. იდეის სიცხადისათვის შეგიძლიათ ფოტოებს დაურთოთ ტექსტიც, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს **150** სიტყვას.

გისურვებთ წარმატებას!

ISSN 2346-7509

მისამართი: მინდელის N9 | ტელ: 2 47 33 33. | info@naec.ge | naec.gov.ge